ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

1 მარტიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




ხუთშაბათი, 3 მარტი, 2016 №52 (6978) ფასი: 50 თეთრი

# „ალეკო ელისაშვილის უკან დათო უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი დგანან“



გვ.3

„რესპუბლიკელები ელისაშვილის ხელით უპირისპირდებიან კობახიძეს და ბესელიას“



გვ.4



## თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილს რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლა არ აწყობს“

„რუსული პროპაგანდა ბევრ თემას იყენებს“



## ზურაბ ტყემალაძე: „თოფაძე თუ წავა, მრეწველები კოალიციიდან გავალთ“

გვ.2



## „ხელისუფლება რელიგიური გრძნობებით თამაშობს და ცუდად დაამთავრებს“

გვ.7

თეა წულუკიანი აკაკი ბობოხიძეს: „შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო“





## რატომ უნდა იყოს ხუთკუნჭულა გოგო, წითელქუდა კი — ბიჭი?

გვ.3



## ლევან ალაფიშვილი: „თეა წულუკიანს ევროსასამართლოს მოსამართლეობა უნდოდა“

გვ.5



## მარკესი

ერთი ტყვეობის ამბავი

გვ.11

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ და შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

გვ.5

ISSN 1987-9385

# ზურაბ ტყემალაძე: „თოფაძე თუ წავა, მრეწველები კოალიციიდან გავალთ“

შორენა მარსაგიშვილი

**2 მარტს პარლამენტის პლენარულ სხდომას ყველა დიდი ინტერესით ელოდა. ზუსტად 2 კვირის წინ პლენარულ სხდომაზე რესპუბლიკელებმა და მრეწველებმა კინაღამ ერთმანეთს სცემეს. ამ პერიოდის განმავლობაში ერთმანეთზე არ გაუწევიათ, სამაგიეროდ, ისეთი კომენტარები გააკეთეს ერთმანეთზე, ჩხუბი გარდაუვალი იყო.**






განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო ამ არეულობის სული და გული გოგი თოფაძე. გამოჩნდა თუ არა პარლამენტში, მას ჟურნალისტები მივარდნენ და რესპუბლიკელებისთვის გამოცხადებულ ომზე სთხოვეს კომენტარის გაკეთება.

მრეწველთა ლიდერმა მედიასთან იმ მომენტში საუბარი არ მოისურვა. ჟურნალისტები არ მოეშვნენ. მაშინ ის იძულებული გახდა, სხვა მხარეს შეტრიალებულიყო, მაგრამ ახლა იქიდან მოუარეს.

აი მაშინ კი უმტყუნა თოფაძეს ნერვებმა და თოფივით დასჭექა:

– თუ თავს არ დამანებებთ, დაგიმტვრევთ მაგ აპარატურას.

მედიასთან გაცილებით კონტაქტური იყო მეორე მრეწველი ზურაბ ტყემალაძე, რომელიც ბოლო ხანებში თოფაძის პრესსპიკერის მოვალეობებსაც ასრულებს. აბა, გოგიმ რამდენი განცხადებაც გააკეთა, იმდენჯერ ლამის დაიქცა კოალიცია.

ტყემალაძე აღშფოთებულია იმით, რომ რესპუბლიკელები გოგი თოფაძეს აძალებენ, გინდა თუ არა, პარლამენტი დატოვეო.

რამდენიმე თვის წინ მრეწველთა ლიდერმა განაცხადა, გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ კანონს რომ მივიღებთ, საკანონმდებლო ორგანოდან წავალო.

ტყემალაძე ამბობს, რომ მისი მეგობარი და ლიდერი პარლამენტს არ დატოვებს და არც კოალიციიდან წავა. თუ პოლიტსაბჭო მის მოკვეთას გადაწყვეტს, მრეწველები რადიკალური ზომების მიღებით იმუქრებიან.

– გოგი თოფაძე არაფერს არ დატოვებს, თუ პარტია დატოვებს, გოგი თოფაძეც მასთან ერთად დატოვებს, თუ თოფაძე დატოვებს, პარტიაც მასთან ერთად დატოვებს. ყველამ კარგად იცის, დაპირისპირება რამაც გამოიწვია. იმ უტაქტო განცხადებამ, რომელიც თავდაცვის მინისტრმა გააკეთა თოფაძის მიმართ, – განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ.

პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე და იმავდროულად ბიძინა ივანიშვილს მეგობარი თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ რესპუბლიკელებს უფლება არ აქვთ, თოფაძეს პარლამენტის დატოვება მოსთხოვონ.

მისივე განმარტებით, ერთადერთი კაცი, რომელსაც შეუძლია მრეწველთა ლიდერს პარლამენტიდან წასვლა მოსთხოვოს, ბიძინა ივანიშვილია.

– იურიდიულად არავის აქვს მისთვის მანდატის ჩამორთმევის უფლება, გარდა მთლიანად პარლამენტისა, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. მორალურად კი შეიძლება მხოლოდ ერთ კაცს ჰქონდეს უფლება, მიუთითოს ვინმეს, რომ დატოვოს პარლამენტი. ეს ერთი კაცი არის ის, ვინც ისინი გაიყვანა – ვინც უთითებს, ისიც და ვისაც უთითებენ, ისიც. მას, მე მგონი, არაფერი არ უთქვამს არავისთვის, – აცხადებს მეჭიაური.

დეპუტატის ეს განმარტება ყველამ ივანიშვილის პოზიციად აღიქვა. სამაგიეროდ, მეჭიაურის მიერ მოყოლილ ანეკდოტს მოჰყვა გაუგებრობა. ერთ რამეში ყველა თანხმდება, რომ ამით მან მინიშნებები გააკეთა.

– ხარი უღელშია შებმული და ხნავს. რქაზე ბუზი აზის. მოფრინდა სხვა ბუზი და მეორე რქაზე დააჯდა. ახლად მოფრენილმა ჰკითხა, რას აკეთებო. იმან უთხრა, ვხნავთო, – გაიხუმრა თამაზ მეჭიაურმა.

მისივე განმარტებით, შესაძლოა ამ ანეკდოტის რიმეიკის მოგონებაც.

2 მარტს მთელი საქართველო ამ ანეკდოტზე საუბრობდა. სიცილით ეტკინა ხალხს ფერდებიო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ინტერესი დიდი იყო.

განსაკუთრებულად მმართველო გუნდის წარმომადგენლები არიან დაინტრიგებული. ისინი მთელი დღე იმას არკვევდნენ, ვინ არიან „ქართული ოცნების“ ბუზები. ხარის გამოცნობა არავის გასჭირვებია.

# აგასი არაბიანი: „საქართველოს პარლამენტში 7 სომეხი დეპუტატი უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

**კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს შესაძლოა დიდი სკანდალი მოჰყვეს. საოცნებო ხელისუფლებამ მაჟორიტარების გაუქმებასთან დაკავშირებით დანაპირები არ შეასრულა. ამის საკომპენსაციოდ რამდენიმე რაიონი ერთ საარჩევნო ოლქში მოაქცია. მათი წყალობით, რამდენიმე რაიონს საერთო მაჟორიტარის არჩევა მოუწევს.**

**ოპონენტების კითხვაზე, როგორ შეძლებს ერთი დეპუტატი ერთდროულად რამდენიმე რაიონის მიხედვას, პასუხი ასეთი აქვთ – გუბერნატორები ხომ ახერხებენ რამდენიმე რაიონის მიხედვას.**



## „ჯავახკის“ ულტიმატუმი საქართველოს ხელისუფლებას

ექსპერტთა ნაწილი თავიდანვე აცხადებდა რომ ამას მოსახლეობაში სერიოზული გაუგებრობა მოჰყვება. ვითარება მას შემდეგ გამწვავდება, რაც კანდიდატების ვინაობა გახდება ცნობილი. შესაძლოა, ერთი რაიონისთვის მისაღები კაცი მეორისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყოს.

ამ ეტაპზე ამომრჩეველი გაოგნებულ მდგომარეობაში იმყოფება. რუსეთში მოქმედმა ორგანიზაცია „ჯავახკმა“ კი არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება დააანონსა.

ჩვენთვის კარგად ნაცნობმა აგასი არაბიანმა, რომელიც ანტიქართული გამოხდომებითაა ცნობილი, „გოლოს არმენიასთან“ საუბარში დაიჩივლა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსში მიღებული ცვლილებების გამო „ჯავახკის“ მოსახლეობას საკუთარი ინტერესების დაცვის მექანიზმი აღარ ექნება.

არაბიანი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ნინოწმინდა და ახალქალაქი ერთ საარჩევნო ოლქში მოაქცია. „ჯავახკის“ ლიდერი იმის გამოც ჩივის, რომ საქართველოს პარლამენტში სომეხი დეპუტატების ოდენობა კიდევ უფრო შემცირდება.

მისი განცხადებით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში სულ მცირე 7 სომეხი დეპუტატი უნდა იყოს.

– საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის პარლამენტში მთელი სომხური თემი მხოლოდ 3 დეპუტატითაა წარმოდგენილი, რასაც, ბუნებრივია, აბსოლუტურად უსამართლოდ ვთვლით. რადგანაც სომხები ქვეყნის მოსახლეობის 5%-ს შეადგენენ (საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით), ამიტომაც პარლამენტის დეპუტატების საერთო რაოდენობაში 5% სომეხი უნდა იყოს, ანუ არანაკლებ 6-7 დეპუტატისა, – აცხადებს არაბიანი.

„გოლოს არმენიასთან“ საუბარში არაბიანი ჯავახეთის მოსახლეობას მოუწოდებს, არჩევნებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ და ხელისუფლება აიძულონ, კანონი შეცვალოს.

საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს ის დისკრიმინაციულადაც მიიჩნევს.

– მჯერა, რომ ჩვენი ბრძენი მოსახლეობა პრობლემას თვითონვე გადაწყვეტს. არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი და ჯავახეთის მოსახლეობამ ეს პერიოდი უნდა გამოიყენოს. ისინი კანონიერი მეთოდებით უნდა შეეცადონ დისკრიმინაციული გაურკვევლობის გამოსწორებას, – აღნიშნავს „ჯავახკის“ ლიდერი.

თუ საქართველოს ხელისუფლება მათ არ მოუსმენს, არაბიანი იმუქრება, რომ რადიკალური ზომები იქნება მიღებული.

– თუ საქართველოს ხელისუფლება მათ იგნორირებას მოახდენს, გათავხედდება და ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ხმას არ მოუსმენს, რეალური ცვლილებები არ მოხდება, მაშინ შემოდგომაზე, არჩევნების მოახლოებისას, პროტესტის რადიკალურ ფორმებზე გადასვლა შეიძლება, მაგალითად, არჩევნებისადმი ბოიკოტის გამოცხადება. უბრალოდ, მოსახლეობა საარჩევნო ურნებთან უნდა მივიდეს და ყველამ ხმა უნდა მისცეს ყველას წინააღმდეგ, – ამბობს არაბიანი.

„ქართული ოცნება“ გვპირდება რომ 2020 წლისთვის საქართველოში მაჟორიტარული სისტემა აღარ იქნება. ეს ამბავი „ჯავახკის“ ლიდერს არ მოსწონს. ის მოსახლეობას პოლიტიკური პარტიის შექმნისკენ მოუწოდებს.

– ჯავახეთში მცხოვრებმა სომხებმა კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მალე საქართველოში მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები აღარ იქნება. ამიტომაც პოლიტიკური პარტიის შექმნაზე უნდა იფიქრონ, რომლის მეშვეობით არჩევნების დროს სომეხ კანდიდატთა არჩევა მოხდება, – აღნიშნავს არაბიანი.

მას ამ საკითხზე ფიქრით ბევრი ღამე უნდა ჰქონდეს გათენებული, რადგანაც პარტიისთვის სახელიც კი აქვს მოფიქრებული.

– ჩემი აზრით, ოპტიმალური იქნება თუ პარტიას ასე დავარქმევთ – „საქართველოს ხალხები“. არაა გამორიცხული, რომ მასში სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც გაერთიანდნენ, – განაცხადა „ჯავახკის ლიდერმა.

ამ პარტიის შექმნამდე ჯავახეთის მოსახლეობას სხვა პარტიებისთვის მოუწევს ხმის მიცემა. თუ საქმე ბოიკოტამდე არ მივიდა.

არაბიანი ამბობს, რომ მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, მაჟორიტარობის რომელ კანდიდატს უნდა დაუჭიროს მხარი:

– ჯავახეთში მცხოვრებმა სომხებმა თვითონ უკეთ იციან, ვინ არიან ღირსეული ადამიანები და ვინ დაიცავს მათ ინტერესებს საქართველოს პარლამენტში. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ამგვარ საკითხებში არ ჩავერიოთ.

პარტიებთან დაკავშირებით უფრო გაურკვეველი ვითარებაა. „ჯავახკის“ ლიდერი ამბობს, რომ ამ საკითხზე მოგვიანებით ჩამოყალიბდებიან. მანამდე ჯავახეთის მოსახლეობას ასეთ რჩევას აძლევს:

– რაც შეეხება იმას, თუ რომელ პარტიას უნდა დაუჭირონ მხარი, ჯერ ამ თემაზე არ გვიმსჯელია და რეკომენდაციებს ვერ შევთავაზებთ. არჩევნები რომ მოახლოვდება, უკვე ამ საკითხზე ჩამოყალიბებული ვიქნებით. ამ ეტაპზე კი ჯავახკელ თანამემამულეებს ერთს შევახსენებ: წინასაარჩევნო პერიოდი ძალიან კარგია თქვენი პრობლემების გასააქტიურებლად, ამიტომაც მომენტი ეფექტურად უნდა გამოიყენოთ. შეეცადეთ, რომ მტკივნეული პრობლემები თქვენ სასარგებლოდ გადაწყდეს.

მისი თქმით, ჯავახეთის მოსახლეობამ ასევე უნდა იაქტიუროს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მიმართულებითაც.

არაბიანი რეგიონიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გაყვანას და ჯავახეთისთვის კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭებასაც საჭიროდ მიიჩნევს.

**აგასი არაბიანი:**

– ჯავახეთის მოსახლეობამ ხმა უნდა აღიმაღლონ ჯავახკში სამხედრო ფორმირებების დისლოკაციის წინააღმდეგ და რეგიონი დემილიტარიზებულად გამოაცხადონ. ასევე უნდა შეეცადონ ჯავახკის რეგიონისთვის ეროვნულ-კულტურული ავტონომიის სტატუსის მინიჭებას.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნანა კაკაბაძე: „ალეკო ელისაშვილის უკან დათო უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი დგანან“

## „რესპუბლიკელები ელისაშვილის ხელით უპირისპირდებიან კობახიძეს და ბესელიას“

ნონა ცაბაძე

დაპირისპირებამ პოლიტპატიმრების საქმეზე კიდევ უფრო მწვავე ფორმები მიიღო. დღეს უკვე აქეთ სდებენ ალეკო ელისაშვილს ბრალს, რომ თავად იყო კორუფციაში გარეული და გარკვეული თანხის სანაცვლოდ იწყალებდა პატიმრებს.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კიდევ უფრო სკანდალურ განცხადებას აკეთებს და იმ პირებს ასახელებს, ვინც ალეკო ელისაშვილის უკან დგას.

***– ქალბატონო ნანა, პირველი თქვენ იყავით, ვინც სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან დააანონსეთ, რომ ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ კომპრომატებს დადებდით და ეს ეკა ბესელიამ გააჟღერა კიდეც. ალეკო ელისაშვილი ახლა თქვენ დაგიპირისპირდათ. იქნებ ამ დეტალებზე საუბრით დავიწყოთ?***

– მე მქონდა პირდაპირი ეთერი და, მიუხედავად ყველაფრისა, იქაც მოვერიდე საზოგადოებას, რომ ამ ადამიანის სრული სახე მეჩვენებინა. თუმცა იმდენად ზღვარს გადასულია ეს ყველაფერი, რასაც ელისაშვილი აკეთებს, რომ ალბათ სათქმელი უნდა ითქვას და ამას ვიტყვი თქვენი გაზეთის ფურცლებიდან!

***– რას გულისხმობთ? რის თქმას აპირებთ, რაც ჯერ არ გითქვამთ?***





– იმ დღიდან, როდესაც ეგ გახდა შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, იყო გაუთავებელი წუხილი პატიმრებისა, რომ შეწყალებები, რომლებიც ხდებოდა ალეკო ელისაშვილის დროს, ვერ უძლებდა ვერანაირ კრიტიკას. მე ამას ვამბობ კულტურული ფორმით, თორემ პატიმრები სულ სხვა ფორმით საუბრობდნენ.

***– რაზე საუბრობდნენ?***

– რომ ამის უკან იდგა კორუფცია. სხვა მხრივ აუხსნელი იყო ის შეწყალებები, რომლებიც ელისაშვილის დროს ხდებოდა. მე ჯერჯერობით თავს შევიკავებ გვარების დასახელებისგან, თუ პროკურატურა დაინტერესდება, რა თქმა უნდა, მათ სრულად მივაწვდი ამ სიას, მაგრამ მე თქვენ გეტყვით მუხლებს, რომლებიც არის შეწყალებული ალეკო ელისაშვილის მიერ. ეს არის უმძიმესი დანაშაულებები.

***– კონკრეტულად?***

– ეს არის მკვლელობები, მკვლელობის მცდელობები, ძალიან დიდი მასშტაბის ნარკორეალიზაციები, ადამიანების გატაცება, ყაჩაღობა-გატაცებით, აი, ასეთი მუხლებია შეწყალებული და არ არიან შეწყალებული მსუბუქი დანაშაულის მქონე პატიმრები. ამ ადამიანებს შეწყალებისას გაატანეს ზოგს 15 წელი, ზოგს 20 და 24. აპატიეს ასეთ ადამიანებს და არ აპატიეს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც თვეები ჰქონდათ დარჩენილი. ბუნებრივია, ასეთი შეწყალებები იწვევდა კითხვებს. ხოლო პატიმრებისთვის ეს არ აჩენდა კითხვებს, ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ეს არის კორუფციის შედეგი.

***– იგულისხმება ფულის აღება?***

– კორუფცია ჩემთვის მაინცდამაინც ფულს არ ნიშნავს, სხვა ინტერესებსაც ნიშნავს, მაგრამ ეს ადამიანები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ამის უკან იდგა კორუფცია და მოითხოვდნენ, რომ ამითი დავინტერესებულიყავი.

***– მერე არ დაინტერესდით?***

– მიუხედავად იმისა, რომ მე თვალნათლივ ვხედავდი, რომ იქ რაღაცა ძალიან სერიოზული პრობლემა იყო შეწყალებასთან დაკავშირებით, მაინც არ მჯეროდა, რომ ეს იყო კორუფციის შედეგი და მეგონა, რომ ეს იყო მისი არაპროფესიონალიზმის, გამოუცდელობის შედეგი, რომ მას არასოდეს შეხება არ ჰქონია პატიმრებთან და წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მოხვდა. პატიმრებმა უკვე დაწერეს საჩივარი და გააგზავნეს პროკურატურაში. სამი საჩივარია მის წინააღმდეგ გაგზავნილი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# რატომ უნდა იყოს ხუთკუნჭულა გოგო, წითელქუდა კი — ბიჭი?

## თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში პოსტერები გააკრეს, სადაც გამოსახულია ტრანსგენდერის სიმბოლიკა

გულიკო ბალაძე

განათლების სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფს, „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“ დამტკიცებული აქვს ნუსხა იმ დამხმარე ლიტერატურისა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს პედაგოგთა გადამზადება.

ეს არის „კომპასი“, „კომპასიტო“ და სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო,

„კომპასში“ მოცემულია სხვადასხვა ტიპის როლური თამაშები და მეთოდური ტესტები პედაგოგებისთვის. მათ კონკრეტული სცენარით გათამაშებული როლური თამაშები უნდა დადგან. დაწყებით კლასებში, ვთქვათ, რომელიმე ზღაპრის მიხედვით, სადაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლიან, რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება. დისკუსიაში 7-დან 13 წლამდე ასაკის მოსწავლეები იქნებიან ჩართული.

ამგვარი პროგრამებისა და სწავლებების გათვალისწინებით, განათლების სამინისტრო სკოლის სასწავლო პროგრამაში ჩასასმელად ახალი წიგნის, „მე და საზოგადოება“ შემუშავების პროცესშია.

აღნიშნულ საკითხს ხმაურიანი განხილვა მოჰყვა პარლამენტის განათლების კომიტეტში. პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე კომიტეტის სხდომას ესწრებოდა და პროტესტიც გამოთქვა. ის ამგვარი სწავლების წინააღმდეგია.

– სახელმძღვანელო „მე და საზოგადოება“ ბუნებაში არ არსებობს. ეს სახელმძღვანელო ჯერ არ დაწერილა. საუბარია საგნის სტანდარტის შემუშავებასა და სასწავლო პროგრამაზე.

***– მაშინ რა გაშფოთებთ?***

– ის, რაც უკვე მიღებულია და ჩვენი განათლების სამინისტროს მესვეურები ჟიუტად უარყოფენ, არის მეთოდოლოგია, რაზეც უნდათ დააფუძნონ მასწავლებელთა უნარ-ჩვევები, რამაც შემდგომში აღნიშნული საგნის მიმღებლობა უნდა უზრუნველყოს საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში.

თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაში აღმოვაჩინეთ გაკრული პოსტერები დაწყებითი კლასის მოსწავლეების შემეცნებისთვის, პირობითი სახელწოდებით, „ჩვენ ვიცავთ სხვის უფლებებს და ჩვენ ვსწავლობთ იმას, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია“, სადაც გამოსახულია ტრანსგენდერის სიმბოლიკა.

***– საინტერესოა, რა უფლებით გააკრეს ამგვარი სიმბოლიკა?***

– განათლების სამინისტროში გვიპასუხეს, რომ თურმე მსგავსი ტიპის პოსტერებისა და პლაკატების გაკვრა დაკავშირებული ყოფილა ევროპის საბჭოს ქარტიასთან.

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს“ დამტკიცებული აქვს ნუსხა იმ დამხმარე ლიტერატურისა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს პედაგოგთა გადამზადება.

***– რა ნუსხაა ეს?***

– ეს არის „კომპასი“, „კომპასიტო“ და სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მე პარლამენტში ხმაურიან სხდომაზე წარმოვადგინე, როგორც მტკიცებულება.

***– მაინც რა არის მიუღებელი ამ „კომპასში“?***

– „კომპასში“ მოცემულია სხვადასხვა ტიპის როლური თამაშები და მეთოდური ტესტები პედაგოგებისთვის, რომელმაც კონკრეტული სცენარით გათამაშებული როლური თამაშები უნდა დადგან დაწყებით კლასებში.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, „იყო და არა იყო რა“. „ნახე, რა ხდება, როდესაც ცნობილი ზღაპრის პერსონაჟებს სქესს შეუცვლი“. თემები: დემოკრატია, დისკრიმინაცია, გენდერული თანასწორობა. სირთულის დონე – 2, ასაკი 7-დან 13 წლამდე. ჯგუფის სიდიდე – 5-15 ბავშვი. სავარჯიშოს ტიპი – ამბის თხრობა, დისკუსია. სავარჯიშოს აღწერა: ცნობილი ზღაპრის მოყოლა, რომელშიც არსებობენ განსხვავებული სქესის პერსონაჟები.

მაგალითად, ხუთკუნჭულას და წითელქუდას სქესი რომ შეეცვალოს, ხუთკუნჭულა გახდეს გოგონა, ხოლო წითელქუდა – ბიჭი. დაახლოებით ამ ტიპის სავარჯიშოზეა საუბარი. სავარჯიშოს აღწერის გრაფაში წერია: ცნობილი ზღაპრის მოყოლა, რომელშიც პერსონაჟებს სქესი აქვთ შეცვლილი, რასაც გენდერულ სტერეოტიპებზე დისკუსია მოჰყვება.

***– „კომპასიტო“ რა არის?***

– „კომპასიტო“ არის დაწყებითი კლასებისთვის, „კომპასი“ – მაღალი კლასებისთვის. სამოქალაქო განათლების პედაგოგის დამხმარე სახელმძღვანელოში მოცემულია აბსოლუტურად გაუგონარი, გაუგებარი და სრულიად შეურაცხმყოფელი ტესტები, რომლებიც დამხმარე სახელმძღვანელოა პედაგოგებისთვის. მათ შემდეგ აღსაზრდელებს უნდა გაუზიარონ მიღებული უნარ-ჩვევები.

***– კერძოდ?***

– მაგალითად, არის ასეთი ტესტი: „გენდერი, მარგარეტ ანდერსენი და ჰოვარდ ტეილორი. წარმოიდგინეთ, რომ ერთ დღეს სხვა სქესის წარმომადგენელი გახდით, რის შეცვლა მოგიწევდათ?“. ასევე: „თუ თქვენ კაცი ხართ, რომელიც ქალი გახდით, შესაძლოა ეს ცვლილება გამართლებული აღმოჩნდეს და, სავარაუდოდ, თქვენი ხელფასი გაიზრდება“.

***– განათლების სამინისტრო რას ამბობს?***

– განათლების სამინისტრო უარყოფს, მაგრამ ფიცი მწამს, ბოლო გვაკვირვებს. სანამ მტკიცებულებებს გამოვაქვეყნებდით, გვეუბნებოდნენ, რომ ცილს ვწამებდით, რომ ისინი არაფერ შუაში არ არიან ამ საკითხთან დაკავშირებით და სასამართლოში გვიჩივლებდნენ. მიმართონ სასამართლოს. დაე, სასამართლომ მიიღოს ეს მასალა მტკიცებულებებად და ნახავს, რამდენად მართალი ვართ ჩვენ.

***– რა საშიშროებას ქმნის ამგვარი მასალის მიწოდება ბავშვებისთვის?***

– ეს არის პოლიტიკური ბერკეტები, რომელსაც იყენებენ ლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენელი პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოში. ეს ნეოლიბერალური ე.წ. ღირებულებები ქმნის აგრესიული გენდერიზაციის ფონს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც სწორედ დაწყებით კლასებში ჰომოსექსუალიზმის მიმღებლობის სწავლების საფუძველზეა დამყარებული.

***– რატომ უნდათ დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა ეს შეითვისონ?***

– სწორედ დაწყებითი კლასების მოსწავლეების მიმართ ასეთი ტიპის ექსპანსია უზრუნველყოფს მომავალ თაობებში მიმღებლობას იმ ფსევდოლიბერალური ღირებულებებისა, რომელმაც ტრადიციული ღირებულებათა სისტემა უნდა მოშალოს და დაანგრიოს



ქვეყანაში იმისთვის, რომ ურჩი ქართველი ერის მართვა უფრო ეფექტური მეთოდებით განხორციელდეს.

***– ამ პროგრამის განხორციელებას უკავშირებენ ევროპის საბჭოს ქარტიას. თუმცა, მგონი იქ არ არის სავალდებულო შესრულებაზე საუბარი.***

– ყველაზე დიდი სიცრუე, რომელშიც ჩვენ გამოვიჭირეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესვეურები, არის ის ფაქტი, რამაც ისინი ძალიან ააღელვა.

ჩვენ ხელში ჩაგვივარდა მათი საპასუხო წერილი ერთ-ერთი მოქალაქისადმი თუ რას ეყრდნობოდა ტრანსგენდერის სიმბოლოს პლაკატის გამოკვრა ერთ-ერთ საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მოსწავლეების თვალწინ.

განათლების სამინისტროს ზოგადი მართვის დეპარტამენტმა უპასუხა, რომ თურმე 2010 წელს ევროპის საბჭომ დაამტკიცა ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, რომლის დანერგვა სავალდებულო გახდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის, კერძოდ, საქართველოსთვის.

თითქოს ამ ვალდებულებიდან გამომდინარე, სამინისტრო იყენებს ამ ქარტიის დამხმარე რესურსებს იმისთვის, რომ აამაღლოს ცნობიერება, მათ შორის, დაწყებით კლასებში.

ეს სიცრუეა. ევროპის აღნიშნული ქარტია არ არის მავალდებულებელი დოკუმენტი მხარეებისთვის და საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. ამ ქარტიის სარეკომენდაციო ხასიათი აღქმულია, როგორც სავალდებულო.

***– რატომ?***

– მხოლოდ ერთი მიზეზის გამო – რეკომენდაციის ნებაყოფლობითი შესრულება დაკავშირებულია მსხვილი გრანტების ათვისებასთან. ამ გრანტებზე რომ აქვთ ტუჩები მიდებული ...

***– განათლების სამინისტროს მესვეურებს?***

– განათლების სამინისტროს მესვეურებსაც და იმ პირებსაც, რომლებიც მათთან არიან დაკავშირებული ე.წ. იმ არასამთავრობო ორგანიზაციებით, რომლებიც მსგავსი ტიპის „საგანმანათლებლო“ საქმიანობას ეწევიან და ე.წ. დამხმარე სახელმძღვანელოებში მსგავსი ტიპის ტესტებს აქვეყნებენ, რომლითაც ბავშვმა უნდა წარმოიდგინოს ხუთკუნჭულა გოგოდ, წითელქუდა კი – ბიჭად.

***– ეს პიროვნებები ვინ არიან, ვინც დაინტერესებულია ამგვარი პროექტის განხორციელებით?***

– ამ პროექტის განხორციელებით დაინტერესებულია განათლების მინისტრი, ქალბატონი თამარ სანიკიძე თავისი 12.500 ლარიანი ხელფასით, ქალბატონი ლია გიგაური, ქალბატონი ნათია ჯოხაძე და ყველა ის ჩინოვნიკი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ამ პროგრამების განხორციელებასთან საქართველოში.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თამარ ჩხეიძე: „ივანიშვილს რესპუბლიკელების კოალიციიდან გასვლა არ აწყობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ადიგენში რელიგიურ დაპირისპირებას ბევრმა უწოდა სპეციალურად გაღვივებული კონფლიქტი. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ჩხეიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არ გამორიცხავს, რომ გარკვეული ძალები რელიგიურ განსხვავებებს იყენებდნენ საქართველოს წინააღმდეგ.



**თამარ ჩხეიძე:**

– საქართველოს მოწინააღმდეგეებისთვის ადვილია განსხვავებების გამოყენება. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს შორის განსხვავებების გამოყენება ხდება. რელიგია საერთოდ ფაქიზი თემაა და საზოგადოება უნდა მოერიდოს კონფლიქტებს ამ ნიადაგზე.

***– რა მიზნით შეიძლება ხდებოდეს ამ დაპირისპირების პროვოცირება?***

– საქართველოსთვის სახელის გასატეხად. თუ საქართველოს ექნება არატოლერანტული, აგრესიული, არაცივილიზებული ქვეყნის იმიჯი, ეს ხელს შეუშლის ევროინტეგრაციას. ეს კი რუსეთის ინტერესებშია. არატოლერანტული ქვეყნის სახელი საზიანოა არა მარტო ჩვენი სახელმწიფოსთვის, არამედ, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

***– ბოლო დროს გახშირდა განცხადებები იმაზე, რომ გაძლიერდა რუსული პროპაგანდა და არსებობს საქართველოს საზოგადოების რუსეთისაკენ გადახრის საფრთხე.***

– რუსული ძალა და ფული ამოქმედებულია. რუსეთისკენ გადახრის ნიშნები უკვე არსებობს. რუსული პროპაგანდა ავრცელებს პრიმიტიული შეფერილობის განცხადებებს იმაზე, თითქოს აშშ და დასავლეთი გვართმევენ ქართველობას. ეს ძალიან პრიმიტიული ლოზუნგი გათვლილია პრიმიტიულ ადამიანებზე. მისი ავტორები ნერგავენ მოსაზრებას, თითქოს საქართველოს ხსნა შეუძლია მართლმადიდებელ რუსეთს.

ეს ხომ სიყალბეა! საქართველოში რუსეთის შემოსვლის შემდეგ რუსეთის თავდასხმის მთავარი ობიექტი

## „რუსული პროპაგანდა ბევრ თემას იყენებს“

გახდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. რუსებმა მას ავტოკეფალიაც წაართვეს, ტაძრები კი გაძარცვეს და კედლები გადაღებეს. იმასაც ვხედავთ, რას უშვრება რუსეთი ქართულ ეკლესიებს ანექსირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე.

***– არის თემები, რომელთაც რუსული პროპაგანდა იყენებს?***

– რუსული პროპაგანდა ბევრ თემას იყენებს. ერთ-ერთი მათგანია ანტიჰომოფობიური მოძრაობისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭება. დასავლეთშიც არის ორგანიზაციები, რომლებიც ამას მეტისმეტ ყურადღებას უთმობენ. სექსუალური უმცირესობები არ უნდა იდევნებოდნენ. ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ანტიჰომოფობიურ გამოსვლებზე გადამეტებული აქცენტებია. ამას კარგად იყენებს რუსული პროპაგანდა. რუსეთმა მშვენივრად გამოიყენა აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონების შესახებ. ჰომოსექსუალიზმი მგრძნობიარე თემაა საქართველოში. რუსული პროპაგანდა ამას ხედავს და უნდა დაგვიმტკიცოს, რომ რუსეთია ქართული ტრადიციებისა და რწმენის შენარჩუნების გარანტი. ეს, ცოტა არ იყოს, ირონიას ბადებს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ საქართველოს რუსეთთან ერთ-ერთი პირველი შეხება თამარ მეფის პირველი ქმრის მეშვეობით მოხდა. გიორგი რუსს ცხოვრების ისეთი წესი ჰქონდა, რომ რუსეთი დასავლეთიდან წამოსულ გარყვნილებაზე არ უნდა ლაპარაკობდეს.



***– ამ თემებზე აზრს გამოთქვამენ კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“. ბოლოდროინდელი დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“ იდეოლოგიურ ხასიათს ატარებს თუ ესაა ბრძოლა სკამებისათვის?***

– მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებაში“ აზრთა სხვადასხვაობა და იდეოლოგიური განსხვავებებია, დაპირისპირების მიზეზია გავლენები და ძალაუფლება. თავის დროზე ეს ხალხი არა პრინციპების გარშემო, არამედ, ხელისუფლებაში მოსასვლელად ბიძინა ივანიშვილის ფულის გარშემო გაერთიანდა. ახლაც უნდათ ხელისუფლებაში დარჩენა.

რესპუბლიკურ პარტიას კოალიციაში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რუსეთის ხელშეწყობით მოვიდა. რუსეთის მითითებითვე, რესპუბლიკურ პარტიას ახალი გაერთიანებისთვის დასავლური იმიჯი უნდა შეექმნა. რესპუბლიკელებს ეს ფუნქცია ახლაც აქვთ. მათთან დაპირისპირებულ გოგი თოფაძეს დიდი მისია და მნიშვნელობა არ გააჩნია. რესპუბლიკელების პროდასავლურობა პროპაგანდის იქით არ მიდის.

***– რას გულისხმობთ?***

– რესპუბლიკელების პოზიციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში არ არის პროდასავლური.

***– ბოლო დროს რესპუბლიკელების კრიტიკა პარტია „ქართულმა ოცნებამაც“ დაიწყო.***

– ამას კონკურენციით ვხსნი. ესაა მეტოქეობა ადგილებისთვის საარჩევნო სიაში. თუ ირაკლი ალასანიას თავის დროზე პირადად ივანიშვილი და მაშინდელი პრემიერი ღარიბაშვილი უპირისპირდებოდნენ, რესპუბლიკელების შემთხვევაში ასე არაა. ივანიშვილი და კვირიკაშვილი რესპუბლიკურ პარტიას მხარს უჭერენ. შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილს აღიზიანებდეს რესპუბლიკელების გაზრდილი ამბიციები და პროკურატურაში საგარეჯოს არჩევნების საქმის გამოძიება მათთვის გაფრთხილება იყოს.

ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს რესპუბლიკელების ჩამოშორება არ აწყობს.

# ნანა კაკაბაძე: „ალეკო ელისაშვილის უკან დათო უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი დგანან“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– ის ამას ცილისწამებას უწოდებს.***

– მე ეს პირდაპირაც ვუთხარი ელისაშვილს, ერთი თვეა, რაც ამაზე ლაპარაკი დაიწყო და უკვე სამი წერილია მის წინააღმდეგ შესული პროკურატურაში.

სამწელიწადნახევარია, ნაციონალები ამ პოლიტპატიმრების სიებს ატრიალებენ და ერთი ადამიანი როგორ ვერ იპოვეს, რომელსაც ათქმევინებდნენ, რომ ფულია გადახდილი. ერთი თვე არაა, რაც გამოვიდა პოლიტიკურ არენაზე და სამმა ადამიანმა უჩივლა.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი მტკიცებულება მქონდა, რომ გაშვებული ჰყავს ამდენი ადამიანი, რომელთა გაშვებაც არანაირ ლოგიკას და სამართლიანობას არ ეფუძნება, მე არ გამიბედავს, არ გამოვსულვარ და არ მითქვამს, რომ ეს არის კორუმპირებული ადამიანი. მე რომ ვკითხე, შენ რა არგუმენტი გქონდა, ჩირქი რომ მოსცხე ამ პროცესს-მეთქი, იცით, რა მიპასუხა?!

***– რა?***

– ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის გამონათქვამებიო. შეიძლება ნორმალური იყოს ადამიანი, რომელსაც ამხელა ბრალდებებზე ეს არგუმენტები მოჰყავს?! ან რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა ისეთი? როდესაც პროცესი მიმდინარეობდა, მაშინ თქვა, იმდენი ამბები ისმის ამ პოლიტპატიმრებზე, ამით დავინტერესდებიო. დაინტერესდა და ნახა, რომ პროცესი კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა. ადამიანი ამის გარდა სხვა არგუმენტს ვერ ასახელებს. ალეკო ელისაშვილის უკან ძალიან სერიოზული ინტერესები იყო, როდესაც მან ეს კამპანია წამოიწყო.

***– რა ინტერესები?***

– სულ მცირე, პოლიტიკური ინტერესები. იგი ფიქრობს, რომ ამ ბინძური მეთოდებით შემოვა პოლიტიკაში და ადგილს დაიმკვიდრებს. მაგრამ პირველივე კვირაში გასკდა, რომ ის აფერისტია. ამდენი ხანია, კაცი მესიჯებზე ლაპარაკობს და მესიჯი ვერ წააკითხა სათანადო უწყებებს. სად არის ეს მესიჯები?! პროკურატურას მიუტანა ტელეფონი და ისიც არ შეუმოწმებია, ტელეფონში იყო თუ არა ის მესიჯები. თუკი მესიჯები არ ჰქონდა, რისთვის მიჰქონდა ტელეფონი?! მაგის ტელეფონის გამომშვები ქარხანა რაში აინტერესებდა პროკურატურას?!

***– ეს იყო ცილისწამება ელისაშვილის მხრიდან?***

– არა მხოლოდ ცილისწამება. სამწუხაროდ ცუდია, რომ დღეს აღარ არსებობს ცილისწამებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სწორედ ასეთი ადამიანები აბინძურებენ პოლიტიკას, როგორიც ელისაშვილია. მე ვიცი, რასაც ისახავდა მიზნად ეს კამპანია.




***– რას ისახავდა?***

– მე არც ეკა ბესელიას და არც მანანა კობახიძის ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ხომ ძალიან კარგად, ხელის დადებით ჩანს, რომ ამის უკან დგანან ის ადამიანები, ვისაც სიაში ბესელიასა და კობახიძეზე წინ უნდათ დგომა! სწორედ ეს ადამიანები არიან ჩართულები ამ ბრძოლაში! ეს ხომ ორჯერ ორი ოთხია! სწორედ ეს არის ბინძური პოლიტიკის ნაწილი.

***– ელისაშვილს ვიღაც მართავს? მის უკან კონკრეტული ადამიანები დგანან?***

– რა თქმა უნდა! აბა, რომელი დავით აღმაშენებელი ელისაშვილი გვყავს, რომ გამოვიდეს და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და კორუფციის წინააღმდეგ გაილაშქროს! ეს არის მართული ადამიანი, რომელსაც არგუმენტიც არ მისცეს, რაზე უნდა ელაპარაკა! ელისაშვილი არის ცრუპენტელა ადამიანი, რომელმაც ვერ განსაზღვრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი გასკდებოდა. ჭავჭავაძეობა რომ უნდა და პრეტენზიები რომ აქვს, საქართველოს უახლესი ისტორია მაინც წაიკითხოს.

***– ელისაშვილი ბრალს აქეთ გდებთ და აცხადებს, იმიტომ დაუპირისპირდით, რომ თავად გინდოდათ შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა. ამაზე რას უპასუხებთ?***

– მე ვიყავი რეკომენდატორი, უდოს კომისიაში ხალხი რომ ინიშნებოდა. ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ არ ვყოფილიყავი არც უდოს კომისიაში და არც – შეწყალების კომისიაში, რადგან ყოველთვის ვამბობ, რომ მე ვარ სუბიექტური პატიმრების მიმართ. მე მეძნელება ვიაზროვნო ისე, რომ ადამიანებს უარი ვუთხრა ციხიდან გამოსვლაზე. მე თვითონ გავიარე ეს ჯოჯოხეთი და არ შემიძლია ასე მარტივად ვთქვა შეწყალებაზე უარი. მირჩევნია, ვიყო უფლებადამცველი და მათი უფლებები დავიცვა.

***– ქალბატონო ნანა, დავუბრუნდეთ ჩვენი ინტერვიუს მთავარ თემას. ვინ დგას ალეკო ელისაშვილის უკან და ვინ მართავს მას? თქვენ სია და კოალიცია ახსენეთ, გამოდის, რომ ნაციონალებს აღარ გულისხმობთ.***

– სწორედ რომ პოლიტიკურად მართული პროცესია. დიახ, მე მაქვს ერთ პოლიტიკურ ჯგუფზე სერიოზული ეჭვი, რომ ის დგას ამ ყველაფრის უკან. რასაკვირველია, ეს პროცესი ნაციონალების ინტერესშიც შედის, ისინი ამ ყველაფერს სათავისოდ იყენებენ.

***– მაშინ რომელ ჯგუფს გულისხმობთ, იქნებ დაასახელოთ?***

– კარგი, დავასახელებ და ეს არის „ქართულ ოცნებაში“ მყოფი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც ამ ყველაფრის უკან დგას!

***– ეს საკმაოდ სერიოზული განცხადებაა. უფრო მეტად არ დაკონკრეტდებით?***

– სერიოზულია. ეს ეჭვი სწორედ რომ ალეკო ელისაშვილის სულელური ინტერვიუების მერე დამებადა, რომ გამოდიოდა და ყვიროდა, ამას ველაპარაკე, იმას ველაპარაკე. ამ ყველაფერმა გამიჩინა კითხვები კონკრეტული ადამიანების მიმართ. დიახ, ესენი არიან დათო უსუფაშვილი და თინა ხიდაშელი!

***– ეს ადამიანები რა შუაში არიან?***

– აბა გაიხსენეთ ალეკო ელისაშვილის განცხადებები, როდესაც ის ბრალს დებდა ბესელიას და კობახიძეს, იქვე ისიც დაურთო, ამის შესახებ დავით უსუფაშვილს და თინა ხიდაშელს ვუთხარიო. შე დალოცვილო, პარლამენტის თავმჯდომარე რომ ხარ და რომ გეუბნებიან, რომ კორუფციაში არიან მხილებული პარლამენტის უმაღლესი თანამდებობის პირები, შეიძლება მერე ამაზე ასეთი პასუხი გასცე ჟურნალისტს, რომ არ მახსოვს, ეს მითხრა თუ არა ელისაშვილმაო?!

***– ანუ თქვენ ამბობთ, რომ რესპუბლიკელები ელისაშვილის ხელით უპირისპირდებიან კობახიძეს და ბესელიას?***

– დიახ, მე ასე ვფიქრობ. შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარეს ეუბნებოდნენ, რომ პარლამენტის ძალიან მაღალი თანამდებობის პირები ქრთამს იღებენ და ის პასუხობდეს, არ მახსოვს, ეს მითხრა თუ არა ელისაშვილმაო?! აქ უნდა გარკვეული პასუხი – ან მითხრა, ან არ მითხრა. არ მახსოვსო, თქვა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ელისაშვილი არ გაწირეს და ამ დროს დარტყმა მიაყენეს თავის თანაგუნდელს! თინა ხიდაშელმა კი ასე უპასუხა: ჩემთან შეწყალების კომისიაზე არაფერი უთქვამს ელისაშვილს, პოლიტპატიმრებზე მითხრაო. მით უარესი, თუ პოლიტპატიმრებზე უთხრა! თავად არ მისცა ხმა პოლიტპატიმრების სიას?! როგორ გაბედინა ამის თქმა ელისაშვილს?! რა პასუხი გასცა თინა ხიდაშელმა, ეს არ არის საინტერესო?! პოლიტპატიმრებზე პასუხისმგებლობა ნანა კაკაბაძეს კი არ აქვს აღებული, პარლამენტს აქვს, სწორედ თინა ხიდაშელს აქვს, ხმა რომ მისცა!

***– ანუ პოლიტპატიმრების სახელით მოხდა მანიპულირება და მთავარი მიზეზი შიდა დაპირისპირება იყო?***

– სწორედ ასე იყო. საკუთარი ინტერესებისთვის, პირადი ანგარიშსწორებისთვის პოლიტპატიმრებს ესროლეს ტალახი. ამდენი ხანი რომ ამ პოლიტპატიმრების საქმეები არ გადაიხედა, დიახ, დღეს უკვე ღიად ვიტყვი, რომ ამის უკანაც იდგა გარკვეული ინტერესი. ამ ყველაფერს ვიღაც მიზანმიმართულად ბლოკავდა!

***– ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებსაც შევეხოთ. გაქვთ მყარი არგუმენტები, რომ მას ბრალი დასდოთ?***

– მის წინააღმდეგ სამი საჩივარია უკვე შესული. ახლა დანარჩენს უკვე გამოძიება დაადგენს. მე ნამდვილად ვითანამშრომლებ გამოძიებასთან. მე ის კი არ მაინტერესებს, რომ ალეკო ელისაშვილი ციხეში წავიდეს. უბრალოდ, ეს მისთვის მაგალითი უნდა იყოს, რომ მეორედ ველარ გაბედოს ასეთი უზნეობის და პოლიტიკაში ასეთი ბინძური მეთოდების დამკვიდრება! აუცილებლად ვითანამშრომლებ პროკურატურასთან.

# „თეა წულუკიანს ევროსასამართლოს მოსამართლეობა უნდოდა“

ნათია ხურცილავა



ვინ გახდება სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ქართველი მოსამართლე? საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამი კანდიდატიდან ერთ-ერთს, ევროსაბჭო 2016 წლის შემოდგომაზე აირჩევს. კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისას სამთავრობო კომისია პოლიტიკურად იყო მოტივირებული.

## ლევან ალაფიშვილი: „ვახტანგ ხმალაძემ გიორგი პაპუაშვილს თითქმის მაქსიმალური ქულა დაუწერა“



***– ბატონო ლევან, სამთავრობო კომისიამ ევროსასამართლოში წარსადგენად რამდენად ღირსეული კანდიდატები შეარჩია? არასამთავრობო სექტორი ასახელებს სხვადასხვა ადამიანებს და კითხულობს, რატომ ვერ მოხვდნენ ისინი, მაგალითად, ეკა გიგაური კითხულობს, რატომ ვერ მოხვდა ამ სიაში კონსტანტინე კორკელია.***

– მნიშვნელოვანია კანდიდატების შერჩევის პროცესი, რადგან ის უნდა იყოს დემოკრატიული და გამჭვირვალე. ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე უნდა იყოს შერჩეული და წარდგენილი ის სამი კანდიდატი. კითხვები, რომლებიც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ გაჩნდება, პროცესს დააზიანებს. თუნდაც მცირედი ეჭვი თავად პროცესის თუ კანდიდატების მიმართ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ეს საკითხი ევროასამბლეაში არათუ პლენარულ სხდომაზე გავიდეს, არამედ ევროსაბჭოს კომიტეტმა დაუბრუნოს ეს კანდიდატები უკან სახელმწიფოს კონკრეტული მითითებით.

***– რა პროცედურებით შეირჩნენ კანდიდატები? იყო გამჭვირვალობა დაცული?***

– პროცედურებზე ვერაფერს გეტყვით, რაც შეეხება გამჭვირვალობას, იყო დაცული, მაგრამ რამდენად იყო ზოგადად კრიტერიუმები შეფასების ნათელი და ობიექტური?! ევა გოცირიძისა და გიორგი პაპუაშვილის განცხადებებს შეიძლება გარკვეული ეჭვი მოჰყვეს. მაგალითად, საინტერესოა, 47 მსურველი როგორ გაიფილტრა? თუნდაც კოტე კორკელია რატომ ვერ მოხვდა ნომინანტთა შორის, რა კრიტერიუმები ვერ დააკმაყოფილა მან? არამკაფიო პროცედურებმა შეიძლება ისეთი კითხვები დაბადოს, რომლებმაც შეიძლება სახელმწიფო დააზიანოს. ამიტომ ვამბობ, რომ ყველა კითხვას ადეკვატური პასუხი უნდა გაეცეს.

***– როგორია ევროსაბჭოში პროცედურები?***

– მას შემდეგ, რაც ამ ხუთეულიდან მთავრობა სამ კანდიდატს შეარჩევს და ევროსაბჭოში წარადგენს, სადაც სპეციალური კომიტეტია, იქ ამ სამმა კანდიდატმა უნდა გაიაროს ფილტრი. ამ კომიტეტში კი უმრავლესობას აკონტროლებს ევროპის სახალხო პარტია, რომელსაც კრიტიკული დამოკიდებულება აქვს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ. ამიტომ თუ კითხვები იარსებებს და ეჭვი გაჩნდება ამ სიის მიმართ, შეიძლება მათ ეს სია უკან დაგვიბრუნონ.

***– ეს რას გამოიწვევს, ეს იქნება ქვეყნის პრესტიჟისთვის დამაზიანებელი?***

– რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცუდი იქნება. კანდიდატს ევროპის საპარლამენტო ასამბლეა ამტკიცებს, მაგრამ ჯერ ევროსაბჭოს კომიტეტია წინ. კომიტეტს რომელი პარტია აკონტროლებს, უკვე მოგახსენეთ. მე ვშიშობ, ეს პროცესი ფართო პოლიტიკური დისკუსიის საგანი არ გახდეს ევროსაბჭოში.

***– კომისიის დონეზე ამ პროცესს პოლიტიკური შემადგენელი ახლდა?***

– როგორც ჩანს.

***– საიდან გიჩნდებათ ეს ეჭვი?***

– იმ განცხადებებიდან, რომლებიც უკვე გაკეთდა პოლიტიკოსების მხრიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებას ვგულისხმობ.

***– რომელიც იუსტიციის მინისტრმა გააკრიტიკა?***

– დიახ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარის მიმართ იმ ლექსიკით საუბარი, რომელიც წულუკიანმა გამოიყენა, მიუღებელია. ასევე დამაფიქრებელია კოალიციაში არსებული მდგომარეობა, რადგან რესპუბლიკელმა ვახტანგ ხმალაძემ, ძალიან კომპეტენტურმა კონსტიტუციონალისტმა, რომელიც ამ კომისიის წევრი იყო, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაღალი შეფასება დაუწერა გიორგი პაპუაშვილს.

***– რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– ეს ჩემთვის მიანიშნებს იმას, რომ პროცესი იყო პოლიტიკურად მოტივირებული. როგორ, ყველა ერთად გაგიჟდა თუ მხოლოდ ვახტანგ ხმალაძე გაგიჟდა. მან პაპუაშვილს 4,5 ქულა დაუწერა, მაქსიმუმი არის 5 ქულა. ვიღაცამ თავს უფლება მისცა და მხოლოდ 1 ქულა დაუწერა. ხმალაძეზე უფრო დიდი პროფესიონალი იყო ვინმე კომისიაში?! ჩემთვის ამ პროცესში ყველაზე ობიექტური შეფასება ხმალაძის შეფასება იყო.

***– ხომ არ იყო ხმალაძის შეფასება კოალიციაში შიდა დაპირისპირებით განპირობებული?***

– არამც და არამც. ხმალაძის შეფასება პაპუაშვილისადმი მხოლოდ ობიექტურობის მანიშნებელი იყო.

***– გიორგი პაპუაშვილმა ამის შემდეგ იუსტიციის მინისტრის მისამართით ზეწოლაზე გააკეთა განცხადება. აქამდე რატომ არ გააკეთა ეს განცხადება, განაწყენებულის პოზიციიდან ხომ არ საუბრობს პაპუაშვილი?***

– შეიძლება კამათის საგანი იყოს, როდის უნდა ეთქვა მას ამის შესახებ, მაგრამ იმ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები პოლიტიკური თავდასხმის ობიექტები იყვნენ, პროცესი დაძაბული იყო. შეიძლება ამ ყველაფრის გათვალისწინებით გადაწყვიტა, მაშინ არ ეთქვა, რომ პოლიტიკურ პროცესებში არ ყოფილიყო ჩართული. დღეს რატომ თქვა, ეს შეიძლება კამათის საგანი იყოს, მაგრამ მსგავსი რომ არ განმეორდეს, ამის შესახებ აუცილებლად საჯაროდ უნდა თქმულიყო.

***– სხვა კანდიდატებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ, ადეკვატური კანდიდატები შეირჩნენ?***

– ცნობილია, რომ ორი დიდი მსურველი იყო ამ პოსტზე. ერთი – თვითონ იუსტიციის მინისტრი.

***– თეა წულუკიანს უნდოდა ევროსასამართლოს მოსამართლეობა?***

– დიახ, ეს ცნობილი ფაქტია, ის დაელოდებოდა მოქმედი მოსამართლის ვადის გასვლას და შემდეგ მინისტრის პოსტს დატოვებდა და სტრასბურგში გადავიდოდა, მაგრამ მას ისეთი კონკურენტი გამოუჩნდა, როგორიც ქალბატონი ევა გოცირიძეა.

***– თუ წულუკიანს რეალურად უნდოდა ევროსასამართლოს მოსამართლეობა, კომისიაში ვერ „ჩააწყო“, რატომ ვერ გახდა ის კანდიდატი?***

– პროცესი ხომ აქ არ მთავრდება, ეს იყო უმთავრესი წინალობა. ასევე, თუკი გარედან არის მოთხოვნა, რომ გამჭვირვალე იყოს პროცესი, ხომ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში თეა წულუკიანი თუნდაც კოტე კორკელიას კონკურენციას ვერ გაუწევს პროფესიული ნიშნით, ეს ხომ მისთვისაც უდავო იყო.

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ და შსს-მ ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე გიგა კიკნაველიძე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გიგა კიკნაველიძემ, მოქალაქეს 50.000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთების თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გვერდის ავლით გატანის სანაცვლოდ 5.000 ლარი მოსთხოვა.

გიგა კიკნაველიძემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქრთამის სახით მის მიერ მოთხოვნილი 5.000 ლარი აიღო, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# შს მინისტრი საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის შესახებ საუბრობს

**2016 წლის 1 მარტს გამომცემლობამ The Huffington Post გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „რატომ მოაქვს თანამშრომლობას უფრო მეტი, ვიდრე საზღვრების დახურვას“.**

**სტატიაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი უსაფრთხოებისა და კრიმინალთან ბრძოლის საკითხებში საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არსებულ თანამშრომლობაზე საუბრობს და ამ კუთხით საქართველოს გერმანიის საიმედო პარტნიორად ასახელებს:**






**გიორგი მღებრიშვილი:**

– უსაფრთხოების გაუმჯობესება დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში უფრო მეტად დამოკიდებულია საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ვიდრე საზღვრების დახურვაზე.

საქართველო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში არის სანდო და კომპეტენტური პარტნიორი გერმანიისათვის. ჩვენი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება გვპირდება გაზრდილ უსაფრთხოებას ყველასთვის.

შს მინისტრი განმარტავს, რომ ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის აუცილებელი რეფორმების გატარებამ, კრიმინალთან ბრძოლაში საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება გამოიწვია.

როგორც გიორგი მღებრიშვილი აღნიშნავს, არალეგალური, ტრანსსასაზღვრო დანაშაულებრივი საქმიანობის აღსაკვეთად საქართველო ინტენსიურად მუშაობს ევროპელ პარტნიორებთან, რაზეც ქართულ მხარესთან თანამშრომლობით გერმანიაში ქართველი მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულის დიდი ნაწილის დაუყოვნებლივ გახსნაც მიუთითებს.

შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, „სამართლებრივი სახელმწიფო წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ყოვლისმომცველი რეფორმების განხორციელების საფუძველს, რომელთაც ხელი შეუწყვეს ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას.

ამ ინტეგრაციამ გაზარდა ჩვენი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები და ინსტიტუციური შესაძლებლობები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში. მისი მეშვეობით გაძლიერდა, ასევე, ჩვენი შესაძლებლობები ევროპელ პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობის კუთხით, უკანონო ტრანსსასაზღვრო საქმიანობის წინაალმდეგ სამოქმედოდ და მათ აღსაკვეთად...

ორმხრივმა თანამშრომლობამ საპოლიციო სფეროში მნიშვნელოვნად გაზარდა დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი და რეადმისიის მოთხოვნათა 90%-ზე მეტი დაკმაყოფილდა...საქართველომ, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საზღვრის კონტროლი და მიგრაციის მართვის მექანიზმები, მაგალითად, შემოღებული იქნა ბიომეტრული პასპორტები.

სტატიაში გიორგი მღებრიშვილი საქართველოსა და გერმანიას შორის სამართლებრივ საკითხებში არსებული თანამშრომლობის ფორმებზეც საუბრობს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მრავალმხრივი შეთანხმებების პლატფორმების გარდა, როგორიცაა ევროპოლი და ინტერპოლი, საქართველო და გერმანია ასევე აძლიერებენ უსაფრთხოების ორმხრივ თანამშრომლობას ინფორმაციის უფრო აქტიური გაცვლითა და პრევენციული თანამშრომლობით.

შს მინისტრის თქმით, დანაშაულის თავიდან აცილებისა და დანაშაულთან ბრძოლის საკითხებში ორმხრივი სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ბერლინში პოლიციის ატაშის წარგზავნით, საქართველო-გერმანიის თანამშრომლობა ახალ საფეხურზე გადავიდა.

– საქართველო და გერმანია იზიარებენ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ერთნაირ ღირებულებებს.

ჩვენ, ასევე, ვიზიარებთ საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან ვალდებულებებს, როგორც საფუძველს გრძელვადიანი მშვიდობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის. უვიზო მიმოსვლა გააღრმავებს და გააძლიერებს კონტაქტებსა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას.

ეს ყველასთვის სარგებლის მომტანი იქნება, – აცხადებს გიორგი მღებრიშვილი.

# „რუსთავის აზოტმა“ მუშაობა შეაჩერა

შპს „რუსთავის აზოტის“ გენერალური დირექტორის, ლევან ბურდილაძის განცხადებით, თუ საწარმოს ბუნებრივი აირის ფასი არ შეუმცირდება, ის ფუნქციონირებას შეწყვეტს.

როგორც ბურდილაძემ განაცხადა, საწარმო უკვე ერთი თვეა გაჩერებულია, თუმცა თუ ფასი არ შემცირდება, ის ვეღარ გაეშვება და თანამშრომლების დათხოვნა გახდება საჭირო.

ბურდილაძის ინფორმაციით, უკვე 6 თვეა კომპანია „სოკართან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და საწარმომ ბუნებრივი აირის ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებით დაპირებაც მიიღო, თუმცა უშედეგოდ.

– თუ ჩვენ არ აღგვიდგება გაზის მოწოდება, მხოლოდ განახლებული კონკურენტუნარიანი ფასით, მაშინ წარმოება ვეღარ გააგრძელებს მუშაობას, უბრალოდ საწარმო ვერ შეძლებს ფუნქციონირებას. მიმდინარეობს მოლაპარაკება 6 თვეზე მეტია „სოკართან“.

ჩვენ ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა მსოფლიო ტენდენცია, რაც დღეს არსებობს გაზთან მიმართებაში. ნავთობის და გაზის ფასების უპრეცენდენტო ვარდნაა და გვინდოდა ეს ტენდენცია შეგვხებოდა, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიეთ.

პირველ თებერვალს ჩვენ შეგვიწყდა გაზის მიწოდება, ამის შემდეგ მოლაპარაკებები განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში შევიდა, შევხვდით ენერგეტიკის სამინისტროს, „სოკარს“, მივიღეთ სიტყვიერი დაპირება, თუმცა უშედეგოდ.

თუ ჩვენ არ მივიღებთ რეალურ ფასს, რომელიც დღეს საბაზრო რეალობას შეესაბამება, ჩვენი წარმოება მუშაობის გაგრძელებას ვერ შეძლებს და ერთ დღეს თანამშრომლების სახლებში გაშვება მოგვიწევს, – აღნიშნა ბურდილაძემ.

კითხვაზე, ხომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ სხვა კომპანიებიც მოითხოვენ ფასების შემცირებას და ამ შემთხვევაში რამდენად რეალურია „რუსთავის აზოტის“ მოთხოვნა, ბურდილაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია საქართველოში ბუნებრივი აირის ყველაზე მსხვილი მომხმარებელია.

ლევან ბურდილაძე:

– ჩვენ ვართ უმსხვილესი მომხმარებელი ბუნებრივი აირის, წელიწადში 300 მლნ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოვიხმართ, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია საქართველოში.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიო ბანკის კვლევები, ყველაფერი აჩვენებს, რომ ევროპაში გაზის ფასი შემცირებულია 42 %-ით და ჩვენ ეს რეალობა უნდა გავითვალისწინოთ, რადგან ჩვენც ამ სამყაროს ნაწილი ვართ და ეს ტენდენცია ჩვენც უნდა შეგვეხოს.

დღეს არსებული ფასით მუშაობის გაგრძელებას აზრი არ აქვს, შეუძლებელია.

# პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად კობა გვენეტაძე დაამტკიცა



პარლამენტმა ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კობა გვენეტაძე დაამტკიცა.

გვენეტაძის კანდიდატურას საკანონმდებლო ორგანომ კენჭი დღევანდელ პლენარულ სხდომაზე უყარა. გვენეტაძეს მხარი 81 დეპუტატმა დაუჭირა, წინააღმდეგ არც ერთი დეპუტატი არ წასულა.

კობა გვენეტაძე ეროვნული ბანკის საბჭოში გიორგი ქადაგიძეს შეცვლის, რომელსაც აღნიშნული საბჭოს თავმჯდომარის და ამავე დროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის უფლებამოსილება თებერვლის ბოლოს ამოეწურა. კობა გვენეტაძის კანდიდატურა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საზოგადოების ფართო წრეებთან კონსულტაციების საფუძველზე შეარჩია.

# მარტიდან კომუნალური შეღავათით გათვალისწინებული კომპენსაცია „თელასის“ ქვითრებში აღარ აისახება

როგორც სააქციო საზოგადოება „თელასის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მარტის თვიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, „კომუნალური სუბსიდირების“ პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების დარიცხვის წესი შეიცვალა.




საკრებულოს გადაწყვეტილებით, „კომუნალური სუბსიდირების“ პროგრამით მოსარგებლე სოციალურად დაუცველ პირებს კომუნალური შეღავათით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია დაერიცხებათ პირად საბანკო ანგარიშზე. აქამდე აღნიშნული კომპენსაცია პროგრამის ბენეფიციარებს ერიცხებოდათ „თელასის“ სააბონენტო ანგარიშზე, რაც კომპანიის ქვითრებში აისახებოდა.

კომპანიის განმარტებით, ზემოაღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, მარტის თვიდან კომუნალური შეღავათით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაცია კომპანია „თელასის“ ქვითრებში აღარ აისახება.

# ეკონომიკის სამინისტრო ჭოველიძის ქუჩაზე განთავსდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 1-ელი აპრილიდან თბილისში, ჭოველიძის ქუჩაზე განთავსდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა.

როგორც ქუმსიშვილმა აღნიშნა, თბილისში, ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე ეკონომიკის სამინისტროს შენობა აუქციონზე გაიყიდა და ეკონომიკის სამინისტრო ჭოველიძის ქუჩაზე გადაინაცვლებს.



მინისტრის თქმით, სამინისტროს ახალი შენობის ფართი 7500 კვ მეტრია.

– ჩვენი შენობა 6 მილიონ დოლარად აუქციონზე გამოვიტანეთ და 9 მილიონ 500 ათას დოლარად გავყიდეთ. მინდა ინვესტორს მადლობა გადავუხადო, რომელმაც იყიდა ჩვენი შენობა იმიტომ, რომ 3 თვით მეტი გაგვაჩერა ამ შენობაში. 1-ელ იანვარს უნდა დაგვეცალა, ჩვენ ვთხოვეთ, რომ 3 თვით მეტი გავჩერებულიყავით და შესაბამისად, ჭოველიძის ქუჩაზე 1-ელი აპრილიდან გადავალთ, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

# ამოქმედდა თუ არა ახალი რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმებისას?

„ბიზნესპრესნიუსის“ მკითხველების ინფორმაციით, საპატრულო პოლიციამ აქტიურად დაიწყო იმ სატრანსპორტო საშუალებების დაჯარიმება, რომლებიც „სითი პარკის“ ტერიტორიის მიღმა იმყოფებიან.

როგორც ისინი აღნიშნავენ, ჯარიმა 200 ლარიანია.

„ბიზნესპრესნიუსმა“ აღნიშნული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაამოწმა. როგორც სამინისტროში განმარტავენ, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები კანონის შესაბამისად მოქმედებენ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ხელმძღვანელობენ.

შსს-ს ცნობით, არანაირი ახალი რეგულაციები არ დაწესებულა და პატრული აგრძელებს დარღვევით მდგარი ავტომობილების დაჯარიმებას.




ჯარიმა ყველა შემთხვევაში 200 ლარით არ არის განსაზღვრული, გააჩნია დარღვევას.

დაჯარიმება საზოგადოებრივი წესრიგისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხდება, – განაცხადეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

# აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ყავას და ქსოვილებს არ შეეხება

აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ თურქეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები არ შეეხება ყავას და ქსოვილებს, – ამის შესახებ „სპუტნიკ აბხაზია“ წერს.



ოკუპირებული რეგიონის ე.წ. მთავრობის განკარგულებაში აღნიშნულია, რომ შეზღუდვები შეეხება თევზის, ხილის, ბოსტნეულის და კიდევ რამდენიმე პროდუქციის იმპორტს თურქეთიდან.

აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ თურქეთის წინააღმდეგ შეზღუდვები იანვარში დააწესა. სანქციების მიხედვით, 1-ელი მარტიდან აფხაზეთში თურქეთის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა იკრძალება.

როგორც ოკუპირებული რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებაში აცხადებენ, მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას 2014 წელს რუსეთთან გაფორმებული „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება“ ითვალისწინებს. რუსეთმა კი ანკარას სანქციები 2015 წლის ნოემბერში მას შემდეგ დაუწესა, რაც თურქეთმა რუსული ბომბდამშენი ჩამოაგდო.

რუსეთის სანქციები თურქული პროდუქციის იმპორტის აკრძალვას და თურქეთში რუსული ტუროპერატორების მუშაობის შეჩერებას ითვალისწინებს.

# აკაკი ბობოხიძე: „გაჩერებული ეკონომიკის პირობებში, შესაძლოა მაღაროები დახურვის გზით წავიდეს“

– გაჩერებული ეკონომიკის პირობებში, შესაძლოა მაღაროები დახურვის გზით წავიდეს გაჩერებული ეკონომიკის პირობებში, როდესაც ნედლეულის მოთხოვნა მცირდება, საბოლოო ჯამში, შესაძლოა მაღაროები დახურვის გზით წავიდეს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, აკაკი ბობოხიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, დეპუტატმა ელისო ჩაფიძემ ტყიბულის პრობლემები წინა ხელისუფლებას დააბრალა.

**აკაკი ბობოხიძე:**

– მინდა შეგახსენოთ რას ჰპირდებოდით ხალხს. არ გამკვირვებია, რომ 2006 წლის მდგომარეობა არ იცოდეთ, მაგრამ გეშლებათ ისე, როგორც თქვენ გჭირდებათ.

2006 წლამდე შახტები უბრალოდ გაჩერებული იყო და პრეზიდენტ სააკაშვილთან ერთად ყველა მაღარო ფეხდაფეხ გვაქვს მოვლილი და ყველა მაღაროში პრეზიდენტი პირადად იყო ჩასული, რომ ყველაფერი გაგვეკეთებინა, რათა შახტები ამუშავებულიყო.



საქართველოს ხელისუფლებამ არც კი იკადრა და არც ერთი მისი წარმომადგენელი ტყიბულელ მეშახტეებთან არ გამოჩენილა.

მე მინდა გაგახსენოთ თქვენ, თქვენი დაპირებები, ბატონი „ბიძინა მართალის“ დაპირებები ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ უამრავ მაღაროს გახსნიდა და ადამინები თურმე ხელის გაუნძრევლად მოიპოვებდნენ ქვანახშირს. გაგახსენებთ იმასაც, როგორ უმტკიცებდით მოსახლეობას, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ე.წ. მაღალმთიანის სტატუსი მოუხსნა ტყიბულს და სხვა რაიონებში კიდევ სხვა რაიონის მოსახლეობას.

ირკვევა, რომ თურმე ეს სტატუსი მოუხსნა არა წინ ხელისუფლებამ, არამედ მოუხსნა თქვენმა ხელისუფლებამ და ეს სტატუსი უნდა აღუდგეს არამარტო ტყიბულის მოსახლეობას, არამედ უნდა აღუდგეს ყველას ვისაც ეს მოეხსნა, რადგან ის თავის დროზე მიენიჭა რაღაც არგუმენტების გამო.

მისი თქმით, პრობლემა არის ის, რომ შეიძლება ტყიბულელი მეშახტეები იგივე თანხას იღებენ, რასაც 2010 და 2011 წლებში ღებულობდნენ, მაგრამ დღეს ის ფული უკვე სხვა ფულია და არის იმის ნახევარი რაც იყო წლების წინ.

– გაჩერებული ეკონომიკის პირობებში, როდესაც ნედლეულის მოთხოვნა მცირდება საბოლოო ჯამში შესაძლოა მაღაროები დახურვის გზით წავიდეს, – განაცხადა ბობოხიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკის ელჩმა და მისმა მეუღლემ ილია II-ს უმასპინძლეს

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ და მისმა მეუღლემ ფრანჩესკამ მის უწმინდესობას, პატრიარქ ილია II-ს უმასპინძლეს.



ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინფორმაციით, შეხვედრისას, რომელიც ელჩის რეზიდენციაში გაიმართა, აშშ-საქართველოს ურთიერთობები განიხილეს.

– ელჩ კელისა და მის მეუღლე ფრანჩესკას მისი უწმინდესობის, პატრიარქ ილია II-ის მასპინძლობის პატივი ხვდათ.

შეხვედრისას, რომელიც ელჩის რეზიდენციაში გაიმართა, აშშ-საქართველოს ურთიერთობები განიხილეს. ფრანჩესკა ოპერის პროფესიონალი მომღერალია. სადილისას მან და ილია II-მ პატრიარქის მუსიკალურ კომპოზიციებზე ისაუბრეს.

პატრიარქმა ელჩს საჩუქრად გადასცა ნახატი, რომელზეც ნატვრის ხეა გამოსახული, – ნათქვამია საელჩოს ინფორმაციაში.

**ინტერპრესნიუსი**

# კახეთში ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად 7 წლის ბავშვი დაიღუპა



კახეთში, ბუნებრივი აირის აფეთქების შედეგად 7 წლის ბიჭი დაიღუპა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მიმდინარეობს გამოძიება სსკ-ის 116-ე მუხლით, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

მათივე თქმით, მომხდარის მიზეზები დგინდება.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზეთიდან გადმოსვენებული კიდევ 10 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია

აფხაზეთის ომის დროს ბაბუშერას აეროპორტში თვითმფრინავის აფეთქებისას დაღუპული კიდევ 10 მებრძოლის ნეშტი იდენტიფიცირებულია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან აცნობეს, მინისტრი სოზარ სუბარი და მინისტრის მოადგილე გოგი ფაცაცია დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებს შეხვდნენ.

სამოქალაქო პანაშვიდი სამების საკათედრო ტაძარში 4-5 მარტს (4 მარტი – 18:00 საათი, 5 მარტი – 12:00 საათი) გაიმართება.

აფხაზეთიდან გადმოსვენებულ მებრძოლებს დიღმის ძმათა სასაფლაოზე 5 მარტს, 15:00 საათზე (გამოსვენება სამების ტაძრიდან 14:00 საათი) სამხედრო პატივით დაკრძალავენ.

**ინტერპრესნიუსი**

# „ხელისუფლება რელიგიური გრძნობებით თამაშობს და ცუდად დაამთავრებს“

შორენა მარსაგიშვილი

29 თებერვალს ადიგენის რაიონის სოფელ ადიგენში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი დაპირისპირება აღმოფხვრილია. გადაწყდა, რომ სოფელში მუსლიმებისა და ქრისტიანებისთვის საერთო სასაფლაო გაიხსნება. არადა მანამდე სოფელში მცხოვრები მუსლიმები ცალკე სასაფლაოს გამოყოფას ითხოვდნენ. დაპირისპირება სწორედ ამას მოჰყვა.

მართალია, ადიგენში ვითარება მოგვარდა, მაგრამ ამ ნიადაგზე დაპირისპირება პარლამენტში მოხდა. ადიგენის მაჟორიტარმა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელია, ხელისუფლება რელიგიური გრძნობებით თამაშში დაადანაშაულა. ეს განცხადება მან პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა.

ზურაბ ჩილინგარაშვილის თქმით, თუ ხელისუფლება ასეთ თამაშებს არ დაასრულებს, ძალიან ცუდად დაამთავრებს.

მაჟორიტარი ჩივის, რომ ხელისუფლება ადიგენზე ექსპერიმენტებს ატარებს და მისი მე-13 რაიონად გადაქცევა უნდა.

– მინდა მივმართო მთავრობას, რას ერჩით ადიგენის რაიონს? მე-13 რაიონად გინდათ აქციოთ? რატომ ატარებთ ექსპერიმენტებს ამ ხალხზე? რა დაგიშავათ ამ რაიონმა. უკვე მესამე პრემიერი გვყავს საქართველოში და თითქმის ყველა გვპირდებოდა, რომ აუცილებლად მოხდებოდა რაიონის გაზიფიცირება და გამრიცხველიანება. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მოგვატყუეს. 21-ე საუკუნეა და ადიგენის რაიონში ერთი სახლიც არ არის გაზიფიცირებული, – აღნიშნა მაჟორიტარმა.

მისივე მტკიცებით, ხელისუფლება ადიგენელებს ერთმანეთთან მთის კანონის დახმარებითაც აპირისპირებს.

– მაღალმთიანი კანონით, დაბლა მდებარე სოფლები გაიყვანეთ მაღალმთიანებში და მაღლა მდებარე – არა. ამით რაიონის სოფლებს შორის შუღლის ჩამოგდებას ცდილობთ. ეს არ იკმარეთ და რელიგიური დაპირისპირების ინსპირირებას ცდილობთ. ეს ამბავი დაიწყო არა 29 თებერვალს, არამედ 2-3 წლის წინ სოფელ ჭელაში, როდესაც მინარეთის ამბები მოხდა, – განაცხადა ჩილინგარაშვილმა.

ადიგენის რჩეული ამბობს, რომ წინა წლებში მომხდარი გაუგებრობების გამო არავინ დაუსჯიათ. 29 თებერვალს მომხდარ დაპირისპირებას ის დაუსჯელობის სინდრომს უკავშირებს.

– რელიგიურ გრძნობებზე თამაში ძალიან ცუდია და თუ ამას ხელისუფლება აკეთებს, გარანტიას გაძლევთ, ძალიან ცუდად დაამთავრებთ. მოსახლეობა შეხვდა ერთმანეთს, მოილაპარაკეს, 1 საათის შემდეგ ადიან გამგეობის თანამშრომლები, ისევ კრებენ მოსახლეობას და ხდება ასეთი უბედურება, – აღნიშნა დეპუტატმა.



ადიგენელთა რჩეულის განცხადებებს რელიგიურ გრძნობებზე თამაშში დადანაშაულებული მეოცნებეებიც გამოეხმაურნენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ლორთქიფანიძემ ნაციონალებს 9 წელი და მათ მიერ ჩადენილი ცოდვები გაახსენა.

მისი თქმით, წლების მანძილზე „ადიგენური სვიტა“ მართავდა ქვეყანას და ლამის იყო, მდინარეებს აღმა დააწყებინეს სიარული.

– 9 წლის განმავლობაში „ადიგენური სვიტა“ მართავდა ქვეყანას, ლამის იყო, მდინარეებს აღმა დააწყებინეს სიარული და დღეს ახლა გაზიფიკაციაზე საუბარი უხერხულია. სახელმწიფო გაზიფიცირების პროექტს აგრძელებს. რამდენიმე დღის წინ 20 მილიონი გამოიყო მთავრობის მხრიდან და გრძელდება გაზიფიკაციის პროექტი. დაახლოებით 60-მდე სოფლის გაზიფიკაცია უნდა დასრულდეს, მათ შორის ვანის რაიონში, ზედა მუქეთის სოფლებზეა საუბარი და ამისთვის ენერგეტიკის სამინისტროს, მთავრობას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, – აღნიშნა მთავრობის მადლიერმა დეპუტატმა.

ნაციონალებს მან სერგო თეთრაძის საქმეც გაახსენა, რომელიც ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ციხეში წამებით მოკლეს.

1 მარტს პროკურატურამ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეწყვიტა.

– სერგო თეთრაძის საქმე რად ღირს მარტო. ადამიანი, რომელიც ჯაშუშობის ბრალდებით დააკავეს, მერე აწამეს, ციხეში მოკლეს. ძალიან მოკლე დროში აღძრეს საქმე და იქვე დაამთავრეს დანაშაულის არარსებობის გამო. ახლა პროკურატურამ დაასრულა საქმე თეთრაძესთან დაკავშირებით და მისი ბრალეულობა ჯაშუშობის საქმეში არ გამოიხატა. რა დგას ამის უკან? ამის უკან დგას გაუბედურებული ოჯახი, – განაცხადა ლორთქიფანიძემ.

* * *

## თეა წულუკიანი აკაკი ბობოხიძეს: „შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო“



„ადიგენური სვიტას“ მოხსენიების შემდეგ ერთმანეთს აკაკი ბობოხიძე და თეა წულუკიანი შეებნენ. ამჯერად დაპირისპირება სიტყვიერ და წერილობით ფარგლებს არ გასცდენია.

ბობოხიძის ინფორმაციით, სოფელ დიდ ჯიხაიშში, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის დროს დასაქმებულ მუშებს ხელფასები არ მიუღიათ. მან იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს სთხოვა ამ საქმით დაინტერესდეს.

– ქალბატონი წულუკიანი ტრაბახობს იმით, რომ ის თურმე იუსტიციის სახლების მაგივრად ხსნის საზოგადოებრივ სახლებს, არსებობს ასეთი სოფელი დიდი ჯიხაიში, სადაც უკვე დასრულდა საზოგადოებრივი სახლის მშენებლობა და მუშებს დღემდე არ აქვთ კუთვნილი ხელფასი მიღებული და იქნებ მთავრობა დაინტერესდეს ამ ამბით. ერთია, რომ ეკონომიკას ვერ ვუვლით და იქნებ ის მაინც მოახერხოს მთავრობამ, რომ დასაქმებულმა ადამიანებმა აიღონ თავისი კუთვნილი ანაზღაურება. მინდა გითხრათ, რომ ეს არის ორი-სამი ათასი ლარით დაგროვებული დავალიანება, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს ერთი თეთრიც არ მიუღიათ, – განაცხადა დეპუტატმა.

პლენარულ სხდომაზე ბობოხიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას მინისტრი ფეისბუქით გამოეხმაურა და ინფორმაციის მიმტანი დაუწუნა.

კაკოსადმი მიწერილი წერილი ძალიან ხატოვნად არის დაწერილი.

– „მშენებლობა დასრულდა“ – გარედან რომ შეხედა ნაციონალის გამჭრიახე თვალმა, შენ დაგენაცვლა ამბის მომტანი, კაკო. ობიექტი კი არ დასრულებულა. რასაც მე ვეძახი დასრულებას, თვარა, აბა თქვენ რასაც ეძახით დასრულებას, კი ვიცი – დღესაც ვასწორებ შენი რჩეული, შენი ნაფერები და ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯით გაქცეული იუსტიციის მინისტრის ნაშენებ-ნაფერებ-ნარუდუნებ თბილისის იუსტიციის სახლის გაგრილება-კონდიცირება-სახურავ-სანიაღვრე-პარკინგებს.

ისე, ჩემებმა შანიძნებში იციან და მეც გამოვიყენებ ამ გამოთქმას – ნეტაი, იმის ტურა მქნა და გამაგებინა, შენი ნაფერები და კიევში გაქცეული რომ თბილისის იუსტიციის სახლს აშენებდა და მუშები სახურავიდან ცვიოდნენ (ხელფასს ვინ დაეძებდა), მაშინ რამე თქვი, კაკო? არა?! ხოხ, შეგირცხვა ცხვირ-პირი, კაკო!

ჰოდა, რაკი ობიექტი ჯერ არ ჩაბარებულა და შესაბამისად არ დასრულებულა, სერვისების განვითარების სააგენტო (ეს რომელია, იცი, აი, ვაშაძე რომ იყო უფროსი, ის) ვერ გადაუხდის სამშენებლო კომპანიას დარჩენილ თანხას. მიღება-ჩაბარება ხომ იცი, აი ის უნდა გაფორმდეს.

როდის გაფორმდება? როცა დავინახავ, რომ დასრულდა. მე რასაც დასრულებას ვეძახი, თვარა, შენი ჭირიმე, წვიმა რომ სახურავიდან მილში კი არ მიდის, კედელზე ჩამოდის და ჩამოწანწკარდება და შტეფსელიდან კომპიუტერს რომ გამორთავ და შტეფსელიც კედლიდან გამოდის და სახლში მოგყვება, ეს დასრულება არ არის, კაკო, – წერს წულუკიანი.

## თინა ხიდაშელი: „საგარეჯოს არჩევნების გამოძიება საარჩევნო სისტემას უქმნის საფრთხეს“



საქართველოს თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი პროკურატურის მიერ საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას გამოეხმაურა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განცხადება გააკეთა.

ხიდაშელის თქმით, გამოძიების დაწყება გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის გადაწყვეტილებაა და ის საარჩევნო სისტემას უქმნის საფრთხეს.

– პროკურატურამ მთელი სისტემა, რომელიც მუშაობს არჩევნების დროს და რომელიც არჩევნებს ლეგიტიმაციას სძენს, ეჭვქვეშ დააყენა. მე მაინც მგონია, რომ ეს გადაწყვეტილება ირაკლი შოთაძემ მიიღო. ეს მცდარი გადაწყვეტილებაა. იმდენად მარტივი საქმეა, რომ მას ვერსაიდან კუდს ვერ მოაბამ, – აცხადებს ხიდაშელი. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ხელმძღვანელის ეკა გიგაურის მოთხოვნის საფუძველზე, საგარეჯოს არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

**ნიუსპრესი**

## პრეზიდენტმა 155 მსჯავრდებული შეიწყალა



პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 2 მარტს პატიმართა შეწყალების მორიგ აქტს მოაწერა ხელი.

შეწყალება ამჯერად 155 მსჯავრდებულს შეეხო. აქედან 105 მსჯავრდებული სასჯელისგან სრულად გათავისუფლდა და ისინი საპატიმროებს დღესვე დატოვებენ.

შეწყალებულთაგან 8 ქალბატონია. დანარჩენ 50 პატიმარს კი სასჯელი სხვადასხვა ფორმით შეუმცირდა.

**ნიუსპრესი**

## ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება

ბრიუსელში მუდმივი წარმომადგენლების დონეზე ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება. კომისიის სხდომაში მონაწილეობას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მიიღებს.

სხდომაზე განხილული იქნება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის საკითხები, საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი, არსებითი პაკეტის იმპლემენტაციის საკითხები. საგარეო საქმეთა მინისტრი კომისიის მონაწილეებს ინფორმაციას მიაწვდის საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებზე, ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე.

ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში მიხეილ ჯანელიძე შეხვედრებს გამართავს ასევე ევროკავშირის ინსტიტუტებში. იგი ასევე შეხვდება ბელგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს დიდიე რეინდერსს.

**ნიუსპრესი**

## „შიიტური აზერბაიჯანი და ქრისტიანული საქართველო – სალაფიტთა ამიერკავკასიული ინკუბატორი“



– შიიტური აზერბაიჯანი და ქრისტიანული საქართველო დღეს პარადოქსულად ცნობილნი არიან იმით, რომ ორივე სახელმწიფო სალაფიტურ ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსათვის ბოევიკების მიმწოდებლებს წარმოადგენენ. პარდოქსი კი იმაშია, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ანტიშიიტური და ანტიქრისტიანული მიმართულების მქონე დაჯგუფებაა, რომელიც მასობრივად აწყობს თავის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე შიიტებისა და ქრისტიანების სიკვდილით საჯაროდ დასჯის სცენებს. თავის განცხადებებში „ისლამური სახელმწიფო“ არ მალავს გეგმებს, რომ სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები, ჩრდ.კავკასიის ჩათვლით, თავისი ხალიფატის შემადგენლობაში მოაქციოს.... როგორ მოხდა, რომ აზერბაიჯანი, რომლის მოსახლეობის 70% შიიტი მუსულმანია და საქართველო, რომლის მოსახლეობის უმეტესად ქრისტიან-მართლმადიდებელია, სალაფიზმის (ვაჰაბიზმის) გავრცელების რეალურ პლაცდარმად იქცნენ? – ასე იწყება რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტას“ მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აზერბაიჯანელი და ქართველი ექსპერტები მსჯელობენ (ავტორი – ანტონ ევსტრატოვი).

აზერბაიჯანელი უფლებადამცველის ელდარ ზეინალოვის აზრით, სუნიტები აზერბაიჯანელი მუსულმანების მესამედს შეადგენენ. ადრე ისინი სომხეთში და მთიან ყარაბაღში ცხოვრობდნენ, კონფლიქტის შედეგად კი ლტოლვილები გახდნენ და ძირითადად ბაქოში, სუმგაითში და განჯაში დასახლდნენ. „ამჟამად სუნიტების მიმართ თანამედროვე აზერბაიჯანში რაიმე სპეციალური მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკა არ ტარდება, რაც ხელს უწყობს რადიკალური ისლამიზმის გაღვივებას... რამდენიმე წლის წინათ ხელისუფლებამ სუნიტებს მეჩეთები დაუხურა, რაც „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ასობით მებრძოლის რეკრუტირება მოახერხა“.

რაც შეეხება საქართველოს, მასმედიის მიერ გავრცელებული მონაცემების თანახმად, „ისლამურ სახელმწიფოს“ რიგებში 300-350 საქართველოს მოქალაქე იბრძვის. როგორც ქართველი ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ვასილ პაპავა ამბობს, სირიაში ჯიჰადში მონაწილეობისათვის წასული ახალგაზრდების მოტივები სხვადასხვანაირია: თვითრეალიზების უპერსპექტივობა და ფინანსური პრობლემები, აგრეთვე „რუსეთზე შურისძიების“ მცდელობა. საქართველოში სალაფიტების რაოდენობა მაინცდამაინც დიდი არ არის, თუმცა სირიაში მიმდინარე დაპირისპირების ფონზე სამომავლოდ ეს მაჩვენებელი შეიძლება გაიზარდოს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

2016, 3 მარტი, №52

# ტრამპმა და კლინტონმა გაიმარჯვეს

სამშაბათს აშშ-ს 11 შტატში პრაიმერიზი ჩატარდა.

მოულოდნელობები არ მომხდარა. ჰილარი კლინტონმა გაიმარჯვა ვირჯინიაში, არკანზასში, ტეხასში და ა.შ. მისმა უახლოესმა კონკურენტმა ბარნი სანდერსმა წარმატებას მხოლოდ ოთხ შტატში მიაღწია.

მიუხედავად მარცხისა, ის ოპტიმიზმს არ კარგავს:

– მე ბოლომდე ვიბრძოლებ! – თქვა მან.

ასევე ბოლომდე ბრძოლას აპირებენ ტედ კრუზი და მარკო რუბიოც, თუმცა სამშაბათის პრაიმერიზმა მათ ბევრი ვერაფერი მისცა. ტედ კრუზმა წარმატებას მხოლოდ ორ შტატში მიაღწია, რუბიომ – ერთში.

ტრამპმა რესპუბლიკელების ლიდერის პოზიცია განიმტკიცა.

მან თავის რესპუბლიკელ კონკურენტებს შესთავაზა საარჩევნო მარათონს ჩამოშორებოდნენ და ასპარეზი მისთვის დაეთმოთ. ტედ კრუზმა ამაზე მიუგო:

– მისტერ ტრამპ, გამარჯვებას ნაადრევად ზეიმობთ.







# თურქეთი რუსეთის თავდასხმის მოლოდინშია

რუსეთმა სომხეთში თურქეთის საზღვართან ახალი ბომბდამშენები განალაგა.

ამან რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა.

– რუსების მხრივ თავდასხმა დღეს რეალურია, როგორც არასოდეს. ჩვენ ამისთვის მზადა ვართ. თუკი პუტინმა ეს გაბედა, საკადრის პასუხს მიიღებს, – თქვა თურქეთის პრემიერმა დავუთოღლუმ.

თურქეთის მოსახლეობის 84 პროცენტი რუსეთს ნომერ პირველ მტრად მიიჩნევს. ომის შემთხვევაში 74 პროცენტი მზადაა, სამშობლო იარაღით ხელში დაიცვას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# „შიიტური აზერბაიჯანი და ქრისტიანული საქართველო – სალაფიტთა ამიერკავკასიული ინკუბატორი“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

სპეციალისტთა აზრით, საქართველოს აზერბაიჯანულ თემში სალაფიზმის აღმოცენება დაკავშირებულია იმ პროცესებთან, რომლებიც ქვეყანაში 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 90-იანებში განვითარდა. სწორედ იმ პერიოდში მაჰმადიანმა მისიონერებმა და ახალგაზრდა აზერბაიჯანელებმა, რომლებიც საუდის არაბეთში, კუვეიტში და ეგვიპტეში სწავლობდნენ, აგრეთვე მომლოცველებმა, აზერბაიჯანში სალაფიზმი შეიტანეს, საიდანაც შემდეგ ეს მიმდინარეობა საქართველოს აზერბაიჯანულ თემშიც გავრცელდა.

– 1990-იანი წლებში ქვემო ქართლში სოციალურ-ეკონომიკური პირობები უარესდებოდა, ამიტომ ბევრი აზერბაიჯანელი [თავის ისტორიულ სამშობლოში] – აზერბაიჯანში წავიდა საცხოვრებლად. ზოგიერთი მათგანი სალაფიზმის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, საქართველოში დაბრუნებისას კი მათმა იდეებმა აქ ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა, – თვლის ვასილ პაპავა.

ექსპერტის აზრით, საქართველოში გავრცელებულ სალაფიზმს თავისი სპეციფიკა აქვს და განსხვავდება აზერბაიჯანული და ჩრდ.კავკასიური სალაფიზმისაგან: ჯერ ერთი, რომ სალაფიტები საქართველოში ცოტანი არიან, მათ რწმენას პოლიტიკური კომპონენტი არ აქვს, ქართველი სალაფიტები ლოიალურად არიან განწყობილნი ხელისუფლების მიმართ და არ არღვევენ თანაცხოვრების წესებსა და ტრადიციებს.

საქართველოში გავრცელებულ სალაფიზმზე მსჯელობისას არ შეიძლება არ შევეხოთ პანკისის ხეობას, სადაც ეს რელიგიური მიმდინარეობა განსაკუთრებითაა კონცენტრირებული. სწორედ პანკისელები წარმოადგენენ „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკთა“ „ხერხემალს“, რომლებიც სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ასადის მთავრობის არმიას ებრძვიან. პანკისის ხეობაში სალაფიზმი ჩასახვისთანავე დაუპირისპირდა ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციულ რელიგიას. პანკისში სალაფიზმი ჩეჩნეთის მეორე ომის დროს (1999-2000 წლებში) გაჩნდა, როცა იქიდან წამოსულმა ლტოლვილებმა თავი ხეობაში მოიყარეს. როგორც ვასილ პაპავა ამბობს, სალაფიტური იდეოლოგია იოლად გავრცელდა უმუშევარ ახალგაზრდებში, რომლებსაც ლუკმაპური არ გააჩნდათ საკუთარი თავისა და ოჯახების გამოსაკვებად – იმ პერიოდში ხეობაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ძალიან მძიმე იყო.

ადგილობრივი მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ პანკისელი სალაფიტები ფულს საუდის არაბეთის რელიგიური ორგანიზაციებიდან და მდიდარი ოჯახებიდან იღებენ. საუდიტების მიერ გამოგზავნილი თანხებით პანკისელმა სალაფიტებმა ახალი მეჩეთი ააშენეს, ქისტი ახალგაზრდები თურქეთისა და არაბული ქვეყნების რელიგიურ სასწავლებლებში ცოდნის დასაუფლებლად უფასოდ გაგზავნეს. ბევრი მათგანი უკვე პანკისში დაბრუნდა, დაოჯახდა და თავიანთ საზოგადოებაში ცხოვრობენ




სირიაში საქართველოს მოქალაქეთა წასვლამ და ტერორისტულ ორგანიზაციებში მონაწილეობის საკითხმა მასმედიაში აქტიური გამოხმაურება ჰპოვა. („ნეზავისიმაია გაზეტა – რელიგია“ ამის თაობაზე 2015 წლის 20 მაისს უკვე წერდა).

ამიერკავკასიაში სალაფიტური საფრთხე ძველებურად აქტუალურია. შეიძლება ითქვას, რომ აქაური სახელმწიფოები „რისკის ჯგუფში“ შედიან, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რას გააკეთებენ და როგორ პოლიტიკას გაატარებენ ადგილობრივი მთავრობები. რადიკალური ისლამის საწინააღმდეგოდ მიმართული სტრატეგიის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივი სპეციფიკა, სოციალურ-ეკონომიკური, რელიგიურ-იდეოლოგიური და ცხადია, პოლიტიკური საკითხები. ამ ეტაპზე მუშაობა უფრო კარგად მიდის საქართველოში, ვიდრე აზერბაიჯანში, რაც, ალბათ, იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს მუსლიმანური თემი უფრო მცირერიცხოვანია. ამის მიუხედავად, ქართული გამოცდილების გაზიარება (მასში იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, სამართალდამცველი ორგანოების მუშაობა) მეზობლებისთვის სასარგებლო იქნება.

ნიუსპრესი


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.




# ძვირფასო დედებო, გილოცავთ „დედის დღეს", გისურვებთ ბედნიერებასა და მშვიდობიან ცხოვრებას

ქალი მაშინ არის იდეალური, როცა ის ქმნის ოჯახს, ზრდის შვილებს თავისი ქვეყნისა და ერის გასამრავლებლად.

როცა ვამბობთ ქალს, ეს თავისთავად არაფრის მთქმელია, მაგრამ როცა ვამბობთ დედას, უკვე ვიცით, რომ ეს ოჯახია. დედა ქმარ-შვილის პატრონი, შვილის აღმზრდელი, რითაც მან მიიღო უდიდესი ბედნიერება და შეიძინა ცხოვრების აზრი – ეს აზრია განმასხვავებელი „ქალთა საერთაშორისო დღესა" და „დედის დღეს" შორის. ყველა ადამიანი დედის შვილია, ამიტომ „დედის დღე" ყველა ადამიანის დღესასწაულია, დაოჯახება არასდროს არის გვიან, მაგრამ კარგი იქნება, თუ მომავალში ტრადიციად ვაქცევთ გოგონების 20 წლამდე, ხოლო ვაჟების 25-მდე ქორწინებას.

გისურვებთ დაოჯახებას, ხოლო უკვე დაოჯახებულებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობას.

1990 წლის მარტში დაწესდა „დედის დღე". იმავდროულად შეიქმნა საქართველოს დედათა კავშირი.

მიზანი: მოემსახუროს მშვიდობის დამყარებას ქვეყნებსა და ხალხთა შორის. შეუქმნას ახალგაზრდობას კეთილდღეობა (ჯანსაღი ოჯახის შექმნის, ერის გამრავლების), დაიცვას ისინი სამართლებრივი და სოციალური უსამართლობისაგან.



„საქართველოს დედათა კავშირის" თავმჯდომარე

*ნაზი ქაშიბაძე*


## განცხადებები

**მკურნალობა**

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ზაზა ფაჩულიას სეზონის 24-ე ორმაგი დუბლი



დალას მავერიკსის ქართველმა ცენტრმა ორლანდო მეჯიქთან მატჩში 17 ქულა და 10 მოხნა მოაგროვა, რითაც ტეხასური გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წილი დაიდო.

დალასიც აგრძელებს წარმატებული მატჩების სერიას. ტეხასელებმა ორლანდოს 121:108 ძლევით ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგეს. ფაჩულიას პაექრობა მოუწია ორლანდოელთა მონტენეგროელ ცენტრ ნიკოლა ვუჩევიჩთან. ბოლო მატჩებში ვუჩევიჩი 20 ქულაზე ნაკლებს არ იხვეჭდა და ფარქვეშ საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა. ცუდად არც დალასთან უთამაშია — ჩერნოგორიელი ცენტრი 18 ქულას და 7 მოხსნას დასჯერდა.

ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე 31 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 6 ორქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. 17 ქულასა და 10 მოხსნასთან ერთად ზაზამ 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

28 დეკემბრის მერე ამდენი ქულა ზაზას არ ჩაუგდია, ხოლო ორმაგი დუბლით ოთხმატჩიანი უდუბლო სერია შეწყვიტა.

დალასი დასავლეთ კონფერენციაში კვლავ პორტლენდთან იყოფს 6-7 ადგილებს. ორივე გუნდს 33 მოგება და 28 მარცხი აქვს. მომდევნო მატჩს კი დალასში, საკრამენტოსთან გამართავს.

# გეგუჩაძემ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ახალგაზრდები აავარჯიშა

23 მარტს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სან-მარინოს უმასპინძლებს. გუშინ კი ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები შეკრიბა და სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ გაცნობითი ხასიათის ვარჯიში ჩაატარა, რომელიც ერთჯერად ხასიათს ატარებდა.



გია გეგუჩაძეს 27 ფეხბურთელის ნახვა სურდა, მაგრამ ტრავმების გამო ვარჯიშში ვერ მიიღეს მონაწილეობა ოთარ კაკაბაძემ, მათე ცინცაძემ (ორივე დინამო თბ), გრიგოლ ჩაბრაძემ (საბურთალო), ნიკა ჭანტურიამ, ლუკა კიკაბიძემ (ორივე ლოკომოტივი) და ბექა ჭკუასელმა (დინამო ბთ).

დანარჩენი ფეხბურთელები გეგუჩაძის განკარგულებაში იყვნენ:

**მეკარეები:** ლაზარე კუპატაძე (ლოკომოტივი), ბექა ქურდაძე (საბურთალო), დავით მარიამიძე (დილა);

**მცველები:** თორნიკე კირკიტაძე (ჩიხურა), აკაკი შულაია (სიონი), გიორგი თევზაძე (დინამო თბ), გაგი მარგველაშვილი (საბურთალო), ზურაბ მალანია (შუქურა), ზურაბ ჯაფიაშვილი (სიონი), ლუკა ნოზაძე (გურია);

**ნახევარმცველები:** ოლეგ მამასახლისი (ტორპედო), მათე კვირკვია (დილა), ლაშა ქოჩლაძე (ცხინვალი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), გიორგი ხარაიშვილი, ირაკლი რუხაძე (ორივე საბურთალო), ზაურ გოგუაძე (მერანი);

**თავდამსხმელები:** მამია გავაშელიშვილი (ლოკომოტივი), ილია კერძევაძე (შუქურა), გურამ გოშთელიანი, გიორგი ხორხელი (ორივე საბურთალო).

როგორც ხედავთ, გეგუჩაძეს ნაკრებში რამდენიმე ახალი სახე შეიგულა, მაგრამ რამდენად შეესაბამებიან ნაკრების დონეს, ამას მწვრთნელი სან მარინოსთან მატჩის წინ გადაწყვეტს.

სან მარინოსთან მატჩის შემდეგ კი, საქართველოს 21 წლამდე ნაკრები 28 მარტს, ქალაქ ზესტაფონში უკრაინის ასაკობრივ ნაკრებს ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდება.

# 19 წლამდე ნაკრები მონტენეგროსთან დამარცხდა



საქართველოს 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც გიორგი ყიფიანი წვრთნის, სტუმრად მონტენეგროსთან პირველი ამხანაგური მატჩი 0:2 წააგო.

მასპინძლებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს. ანგარიში მე-40 წუთზე საჯარიმო დარტყმის შემდეგ გაიხსნა, ხოლო 45-ე წუთზე მასპინძლებმა მეორე ბურთი პენალტიდან გაიტანეს.

**გიორგი ყიფიანმა გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა:**

გოშაძე, ლოჩოშვილი (კობოური, 63), მამუჩაშვილი (პაპუაშვილი, 57), კიკნაძე (კოხრეიძე, 57), მიქელთაძე, ჭიჭინაძე, ბიძინაშვილი (არდაზიშვილი, 57), კომახიძე (ახალაძე, 82), სამურკასოვი (ფოჩხუა, 57), ლილუაშვილი (ჩაჩუა, 46), ართმელაძე (ქორიძე, 63).

19-წლამდელთა ნაკრები ჩერნოგორიასთან მეორე ამხანაგურ მატჩს დღეს გამართავს.

შეგახსენებთ, რომ 24-29 მარტს, 19-წლამდელები სევილიაში ელიტ რაუნდში ითამაშებენ, სადაც ჯგუფში მათი მეტოქეები ესპანეთის, ინგლისისა და საბერძნეთის ნაკრებებია.

# მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან

საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები 8-13 მარტს ლატვიის დედაქალაქ რიგაში გასამართ ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან და ორივე ნაკრები დასკვნით შეკრებაზეა გადასული.

რევაზ მინდორაშვილის გაწვრთნილი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მზადებას დუშეთში ოლიმპიური მზადების ბაზაზე გადის.

მინდორაშვილის გუნდი თბილისში 5 მარტს დაბრუნდება და მეორე დღესვე ლატვიაში გაემგზავრება, ხოლო შეჯიბრებაში 8 მარტიდან ჩაებმებიან.

9 მარტს ჩამოვლენ ბორჯომიდან კლასიკოსები და 10-ში წავლენ ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო 12-ში შეჯიბრება იწყება.

ორივე ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით გამოვა. მინდორაშვილი და ბეგი დარჩია რიგაში წასაყვან შემადგენლობებს ორ დღეში დაასახელებენ.



თუმცა, უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და საქართველოს 2015 წლის საუკეთესო სპორტსმენი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი 61 კილოში იჭიდავებს. ნაკრების ლიდერი წონას არ დაიკლებს და 57 ნაცვლად, ოქროს მედალს 61 კილოში შეუტევს, რომელიც არაოლიმპიური წონაა.

ევროპირველობის დასრულების შემდეგ მოჭიდავეებს რიოს სალიცენზიო ტურნირები ელით. „თავისუფლებს“ 4 ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს, ხოლო ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს ჯერ რიოს ოლიმპიადის ერთი ლიცენზიაც არ აუღიათ.

სულ კი სამი სალიცენზიო ტურნირია დარჩენილი: 15-17 აპრილს სერბეთში, 22-24 აპრილს მონღოლეთში და 6-8 მაისს თურქეთში.

# დიეგო სიმეონე: ბარსა მსოფლიოში საუკეთესოა



მადრიდის ატლეტიკომ ბოლო ტურში რეალ სოსიედადი გაანადგურა და ბარსელონასთან სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა, მაგრამ მათი მთავარი მწვრთნელი დიეგო სიმეონე არ ფიქრობს, რომ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგი ტურებში ბარსელონა ქულებს დაკარგავს და ამ უპირატესობას გაანიავებს.

**დიეგო სიმეონე:**

– ვუყურე მატჩს ბარსელონასა და სევილიას შორის. ამას არ უმოქმედია ჩემი მუშაობის მიდგომასა და აზროვნებაზე. ერთი ნათელი მიზანი გვაქვს: უნდა განვაგრძოთ პროგრესი და ისე თამაში, როგორც ეს სოსიედადის წინააღმდეგ გავაკეთეთ. გუნდს კარგად თამაში სჭირდება, მიუხედავად იმისა, თუ რას იზამს ბარსელონა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის წააგებს. აშკარაა, რომ ბარსელონა დღეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდია.

# მარადონა და ძამპარინი ინფანტინოს კორუფციაში ადანაშაულებენ



ჯერ ერთი კვირის არჩეულია ფიფას პრეზიდენტად ჯანი ინფანტინო, მაგრამ მის ირგვლივ უკვე აგორდა სკანდალური ხმები.

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ ფიფას ახალ პრეზიდენტ ინფანტინოს მოღალატე უწოდა. მისი თქმით, ფიფას ახალი პრეზიდენტი თავად არის გარეული ფიფას კორუფციულ სკანდალში და ეს დადასტურებული თუ არ არის, იმის გამო, რომ გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

მარადონას თქმით, სწორედ ინფანტინო ახორციელებდა პლატინისა და ბლატერის საქმეებს და თუ მან არაფერი იცის, მაშინ ბრიყვი ყოფილა.

იტალიური პალერმოს პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი კი ფიფას ახალარჩეულ პრეზიდენტს ხმების ყიდვაში ადანაშაულებს. ბიზნესმენის განცხადებით, ინფანტინომ არჩევნები ბინძური გზებით მოიგო და თავისი წინამორბედის გზის გამგრძელებელია.

**მაურიციო ძამპარინი:**

– ფიფაში სისტემა არ იცვლება. ელეფანტინო (ასე უწოდა ძამპარინიმ ინფანტინოს) მხოლოდ იმიტომ აირჩიეს, რომ სალმან ბინ ალ ხალიფაზე მეტი ხმა შეიძინა. იგი ბლატერის გზას აგრძელებს.

ამით ძამპარინიმ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ხმები ალ ხალიფასაც ჰქონდა ნაყიდი.

შეგახსენებთ, რომ ჯანი ინფანტინო, რომელიც მანამდე უეფაში მუშაობდა, ფიფას პრეზიდენტად 26 თებერვალს მეორე ტურში აირჩიეს. ინფანტინომ 115 ხმა დააგროვა, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ალ ხალიფამ – 88.

## შედეგები

**1 მარტი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-ევერტონი 1:3
ბორნმუთი-საუთჰემპტონი 2:0
ლესტერი-ვესტ ბრომვიჩი 2:2
ნორვიჩი-ჩელსი 1:2
სანდერლენდი-კრ.პალასი 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 28 | 16 | 9 | 3 | 51-31 | 57 |
| 2.ტოტენჰემი | 27 | 15 | 9 | 3 | 49-21 | 54 |
| 3.არსენალი | 27 | 15 | 6 | 6 | 43-26 | 51 |
| 4.სიტი | 26 | 14 | 5 | 7 | 48-28 | 47 |
| 5.მანჩესტერი | 27 | 12 | 8 | 7 | 36-26 | 44 |
| 6.ვესტ ჰემი | 27 | 11 | 10 | 6 | 41-31 | 43 |
| 7.საუთჰემპტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 35-28 | 40 |
| 8.ჩელსი | 28 | 10 | 9 | 9 | 42-38 | 39 |
| 9.სტოკი | 27 | 11 | 6 | 10 | 29-33 | 39 |
| 10.ევერტონი | 27 | 9 | 11 | 7 | 49-36 | 38 |
| 11.ლივერპული | 26 | 10 | 8 | 8 | 38-36 | 38 |
| 12.უოტფორდი | 27 | 10 | 7 | 10 | 29-28 | 37 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 9 | 9 | 10 | 29-36 | 36 |
| 14.კრ.პალასი | 28 | 9 | 6 | 13 | 31-37 | 33 |
| 15.ბორნმუთი | 28 | 8 | 8 | 12 | 32-44 | 32 |
| 16.სუონსი | 27 | 6 | 9 | 12 | 25-36 | 27 |
| 17.სანდერლენდი | 28 | 6 | 6 | 16 | 34-53 | 24 |
| 18.ნორვიჩი | 28 | 6 | 6 | 16 | 31-53 | 24 |
| 19.ნიუკასლი | 26 | 6 | 6 | 14 | 27-49 | 24 |
| 20.ასტონ ვილა | 28 | 3 | 7 | 18 | 22-51 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბლექბერნი-მიდლსბრო .................. 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-სოსიედადი ................. 3:0
ლას პალმასი-ხეტაფე ..................... 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 21 | 3 | 2 | 69-21 | 66 |
| 2.ატლეტიკო | 27 | 19 | 4 | 4 | 39-11 | 61 |
| 3.რეალი | 26 | 16 | 6 | 4 | 71-25 | 54 |
| 4.ვილიარეალი | 26 | 15 | 7 | 4 | 33-18 | 52 |
| 5.სელტა | 26 | 12 | 5 | 9 | 39-44 | 41 |
| 6.სევილია | 26 | 11 | 8 | 7 | 37-28 | 41 |
| 7.ბილბაო | 26 | 11 | 5 | 10 | 38-35 | 38 |
| 8.ეიბარი | 26 | 10 | 6 | 10 | 40-35 | 36 |
| 9.სოსიედადი | 27 | 9 | 7 | 11 | 36-38 | 34 |
| 10.დეპორტივო | 26 | 6 | 14 | 6 | 33-32 | 32 |
| 11.მალაგა | 26 | 8 | 8 | 10 | 23-23 | 32 |
| 12.ვალენსია | 26 | 7 | 10 | 9 | 30-29 | 31 |
| 13.ბეტისი | 26 | 6 | 10 | 10 | 21-36 | 28 |
| 14.ესპანიოლი | 26 | 8 | 4 | 14 | 26-50 | 28 |
| 15.ლას პალმასი | 27 | 7 | 6 | 14 | 29-40 | 27 |
| 16.რაიო | 26 | 6 | 8 | 12 | 36-53 | 26 |
| 17.ხეტაფე | 27 | 7 | 5 | 15 | 26-44 | 26 |
| 18.ხიხონი | 26 | 6 | 6 | 14 | 30-46 | 24 |
| 19.გრანადა | 26 | 6 | 5 | 15 | 27-51 | 23 |
| 20.ლევანტე | 26 | 5 | 5 | 16 | 24-48 | 20 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ვოლფსბურგი ................ 0:4
ინგოლშტადი-კიოლნი .................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 23 | 20 | 2 | 1 | 58-11 | 62 |
| 2.დორტმუნდი | 23 | 17 | 3 | 3 | 57-25 | 54 |
| 3.ჰერტა | 23 | 11 | 6 | 6 | 31-24 | 39 |
| 4.გლადბახი | 23 | 11 | 3 | 9 | 45-40 | 36 |
| 5.მაინცი | 23 | 11 | 3 | 9 | 32-29 | 36 |
| 6.ლევერკუზენი | 23 | 10 | 5 | 8 | 32-26 | 35 |
| 7.შალკე | 23 | 10 | 5 | 8 | 31-29 | 35 |
| 8.ვოლფსბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 36-31 | 34 |
| 9.ინგოლშტადტი | 24 | 8 | 7 | 9 | 18-25 | 31 |
| 10.კიოლნი | 24 | 7 | 9 | 8 | 25-30 | 30 |
| 11.ჰამბურგი | 23 | 7 | 7 | 9 | 26-31 | 28 |
| 12.შტუტგარტი | 23 | 8 | 4 | 11 | 35-44 | 28 |
| 13.აუგსბურგი | 23 | 6 | 7 | 10 | 26-33 | 25 |
| 14.დარმშტადტი | 23 | 6 | 7 | 10 | 25-36 | 25 |
| 15.აინტრახტი | 23 | 5 | 8 | 10 | 27-37 | 23 |
| 16.ვერდერი | 23 | 5 | 6 | 12 | 27-46 | 21 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 23 | 3 | 9 | 11 | 23-36 | 18 |
| 18.ჰანოვერი | 24 | 5 | 2 | 17 | 21-42 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფორტუნა-ბოხუმი ......................... 1:2
ფიურტი-უნიონი ........................... 2:0
კაიზერი-მიუნხენ 1860 .................. 0:1
კარლსრუე-პადერბორნი ................ 0:0
ზანდჰაუზენი-ნიურნბერგი ............ 0:2

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-მოდენა ............................ 2:1
ბარი-ტერნანა ............................... 4:0
ბრეშა-აველინო ............................ 1:0
კომო-ლანჩანო ............................. 1:1
ლივორნო-კროტონე ....................... 0:0
პერუჯა-ლატინა ............................ 2:0
პესკარა-ტრაპანი .......................... 1:2
სალერნიტანა-ენტელა .................. 2:2
სპეცია-ჩეზენა .............................. 1:1
ვიჩენცა-პრო ვერჩელი .................. 1:1

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

ჰართსი-ინვერნესი ........................ 2:0
კილმანროკი-როსი ........................ 0:2

**რუსეთი. თასი**

უფა-ცსკა .......................................... 0:2
კრასნოდარი-ტერეკი ............. 1:0(დდ)

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ალტახი ................ 1:0

**უკრაინა. თასი**

სტალი-დნიპრო ............................. 0:3
ოლექსანდრია-დინამო .................. 1:1

**დანია. თასი**

სონდერიისკე-ორხუსი .................... 0:3

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ყველაზე ბებერი კატა სოციალური ქსელების ვარსკვლავად იქცა


r McNamee/Mercury Press

მსოფლიოში ყველაზე ბებერმა კატამ დაამტკიცა, რომ სოციალურ ქსელებში გამოჩენა არასოდესაა დაგვიანებული. საუბარია 26 წლის ველვეტზე ორეგონიდან. მის ასაკს თუ ადამიანის ასაკზე გადავიანგარიშებთ, ის თითქმის 121 წლისაა.

ველვეტი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როგორც ყველაზე ასაკოვანი ცოცხალ კატებს შორის. რეკორდსმენი კატის პატრონებმა მისთვის ინსტაგრამსა და ფეისბუქში გვერდები გახსნეს, კატას ასევე საკუთარი აკაუნტი აქვს სნეპჩათში. ცხოველის ცხოვრების ამსახველ სიახლეებს ათასობით ინტერნეტ-მომხმარებელი ადევნებს თვალს.

ველვეტი 1989 წლის 1 აგვისტოს დაიბადა. პირველად პლანეტის ყველაზე ხანდაზმული კატის ტიტული მან 2014 წლის ივნისში მიიღო. შემდეგ მას კატამ სახელად ტიფანი მეორემ გადაუსწრო. ის 2015 წლის ივნისში მოკვდა და ველვეტმა ყველაზე ხანდაზმული კატის წოდება დაიბრუნა.

# ჩინეთის ნაკრძალში გარეული პანდა შენიშნეს



ჩინეთის ნაკრძალ ხუანგუანშანში დიდი გარეული პანდა შენიშნეს. საკვების ძებნის დროს დათვი 30-მა ინფრაწითელი გამოსხივების კამერამ დააფიქსირა.

როგორც ბუნების დაცვის ორგანიზაციაში დაადგინეს, ეს თითქმის მოზრდილი დათვია, რომლის წონა, სავარაუდოდ, 60 კილოგრამს შეადგენს.

ნაკრძალი პროვინცია შენსიში მდებარეობს. 2015 წელს მისმა თანამშრომლებმა ტერიტორიაზე პირველად შენიშნეს დიდი გარეული პანდა.

ველურ ბუნებაში დიდი პანდების რაოდენობა 2 ათას სულზე ნაკლებია. ისინი უმეტესწილად შენსის და სიჩუანის პროვინციებში ბინადრობენ.

# კატა ნადი ვისკონსინიდან ფლორიდაში ჩავიდა

რუსულმა ცისფერმა ჯიშის კატა ნადიმ მოახერხა, რომ ვისკონსინიდან ფლორიდაში ჩასულიყო. ცხოველი სახლიდან, რომელიც ქალაქ შებოიგანში მდებარეობს, შობის დღესასწაულის დროს გაიქცა. მისმა პატრონებმა კატის მოძებნა სცადეს, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.



დაკარგული კატა მხოლოდ ახლახან აღმოაჩინეს ქალაქ ნეიპლსიში. მისთვის ჩანერგილი მიკროჩიპის სკანირებით იქნა დადგენილი მისი პატრონის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ნადიმ მოახერხა 1,5 ათასი მილის (დაახლოებით 2,4 ათასი კილომეტრი) გავლა.

კატის პატრონი შერი სტოკერი აცხადებს, რომ ვერაფრით წარმოუდგენია, თუ როგორ აღმოჩნდა მისი საყვარელი ცხოველი „სრულიად მოულოდნელ ადგილზე" ორი თვის შემდეგ.

ამჟამად ნადის პატრონები კატის სახლში, ვისკონსინში დაბრუნების საკითხის მოგვარებით არიან დაკავებულები.

# ბრიტანელებს პარტნიორს შინაური ცხოველი ურჩევნიათ

როგორც ირკვევა, ყოველ მეათე ბრიტანელს პარტნიორზე მეტად საკუთარი შინაური ცხოველი უყვარს. ეს ყოველივე კი გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომელშიც ათასმა რესპონდენტმა (500 ქალი და 500 მამაკაცი) მიიღო მონაწილეობა.

ალმოჩნდა, რომ ბრიტანელი ქალების 54 პროცენტი საწოლში თავის შინაურ ცხოველთან ჩახუტებას ამჯობინებს და არა პარტნიორთან, ანალოგიური პასუხი გასცა ბრიტანელი მამაკაცების 38 პროცენტმა.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ყოველ მეათე ბრიტანელს, რომელსაც შინაური ცხოველი ჰყავს, თავის პარტნიორზე მეტად ფარულად თავისი ცხოველი უყვარს.

ასევე გაირკვა, რომ ბრიტანელები თავიანთი შინაური ცხოველებისთვის სხვადასხვა სათამაშოების შესაძენად წელიწადში საშუალოდ 400 ფუნტს ხარჯავენ, ხოლო ხუთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ამისთვის ისინი წელიწადში 10 ათას ფუნტს ხარჯავენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა




# სანტი კასორლა შესაძლოა სეზონის ბოლომდე ვერ დაბრუნდეს მოედანზე



არსენალის ესპანელი ნახევარმცველი სანტი კასორლა შესაძლოა თავის გუნდს წლევანდელ სეზონში ველარ დაეხმაროს.

მიზეზი ტრავმაა, რომელიც კასორლამ ნოემბრის ბოლოს მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე აღარ გამოჩენილა.

კასორლამ ბოლო შეხვედრა 29 ნოემბერს ნორვიჩის წინააღმდეგ გამართა. სანტის მუხლის სერიოზული პრობლემები აქვს და შესაძლოა მან მარტში ოპერაციაც გაიკეთოს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას კასორლას ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც, რომელიც ივნისის დასაწყისში აიღებს სტარტს.

სანტი კასორლა არსენალში რამდენიმე წლის წინ ესპანური ვილიარეალიდან გადავიდა და ის ლონდონური გუნდის ერთ-ერთ წამყვან ნახევარმცველად ითვლება, ამიტომ მისი არყოფნა არსენალისთვის სერიოზული პრობლემაა.

# გალათასარაი ევროტურნირებიდან მოკვეთეს

უეფამ თურქული გალათასარაი ევროტურნირებიდან მოკვეთა.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით, გალათასარაი ევროპაში 2016-17, 2017-18 წლების სეზონებში ვერ ითამაშებს.

ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზი თურქული გუნდის მხრიდან ფინანსური ფეირ-პლეის დარღვევა გახდა. უფრო მეტი დეტალი ამ საქმესთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ ვრცელდება.

გალათასარაიმ წლევანდელი სეზონი ჩემპიონთა ლიგაში დაიწყო, მაგრამ ჯგუფური ეტაპი ვერ დაძლია, რის შემდეგაც ევროპის ლიგაზე გადაინაცვლა. თურქული კლუბისთვის არც ეს ტურნირი გამოდგა წარმატებული. გალათასარაი იტალიურ ლაციოსთან დამარცხდა და ევროპას 3 წლით დაემშვიდობა.

# მანჩესტერ იუნაიტედი გონსალო იგუაინის ყიდვას შეეცდება



არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი წელს საოცარ შედეგს აჩვენებს. ნაპოლის შემადგენლობაში მან 27 შეხვედრაში 25 გოლის გატანა შეძლო.

ამ შედეგების გამო, გონსალომ ბევრი გრანდის ყურადღება მიიპყრო და მანჩესტერ იუნაიტედი მზად არის, იგუაინის ტრანსფერში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს. არგენტინელის თავის გუნდში ხილვა განსაკუთრებით ჟოზე მაურინიოს სურს, რომელიც უკვე მოიაზრება მანჩესტერის მომავალ მთავარ მწვრთნელად.

მაურინიო და იგუაინი უკვე მუშაობდნენ ერთად მადრიდის რეალში, ამიტომ ისინი ერთმანეთს კარგად იცნობენ.

თვითონ იგუაინმა განაცხადა, რომ მომავალში კლუბის გამოცვლას და სხვა ქვეყანაში გადასვლას არ გამორიცხავს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# უეფას საგანგებო გეგმა — ევრო 2016 მაყურებლის გარეშე



საფრანგეთში გასამართი 2016 წლის ევროპის ჩემპიონატი, შესაძლოა, გულშემატკივრების გარეშე ჩატარდეს. ამის მიზეზი კი ტერორისტული საფრთხის არსებობაა. როგორც ფრანგული მედია იტყობინება, უეფაში ჯერ კიდევ შიში აქვთ ტერორისტების და არ გამორიცხავენ, უპრეცედენტო გადაწყვეტილებაც მიიღონ.

შეგახსენებთ, რომ 13 ნოემბერს, პარიზში, საფრანგეთისა და გერმანიის ნაკრებების შეხვედრის დროს ტერორისტული აქტები მოხდა და ერთი ბომბი სტადიონის სიახლოვესაც აფეთქდა. ტრაგიკულ დღეს საერთო ჯამში 130 ადამიანი ემსხვერპლა.

ევროპირველობაზე მონაწილეობას 24 გუნდი მიიღებს და 10 ივნისს, საფრანგეთისა და რუმინეთის ეროვნული ნაკრებების შეხვედრით გაიხსნება, რომელიც „სტად დე ფრანსზე" ჩატარდება, ისევე, როგორც 10 ივლისს გასამართი ფინალური დაპირისპირება. თუმცა, რა ხიბლი ექნება ევროფორუმს მაყურებლის გარეშე...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ასტროპროგნოზი
## 3 მარტისათვის



**ვერძი** — ვარსკვლავები გმფარველობენ. წარმატება გელით კომერციულ საქმიანობაში, პირად ცხოვრებაში. კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი. **კურო** — დღეს აუცილებლად იაქტიურეთ. თამამად დაიცავით საკუთარი პრინციპები. ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. **ტყუპები** — რთული დღეა. კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ჯანმრთელობის მდგომარეობა არასახარბიელოა. ნურავის დახმარების იმედი ნუ გექნებათ. **კირჩხიბი** — უფროსობასთან კამათს ერიდეთ. ეცადეთ, თავმდაბლად იმუშაოთ და შენიშვნა არ დაიმსახუროთ. **ლომი** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. საპირისპირო სქესი თქვენს ტემპერამენტსა და იმპულსურობას სათანადოდ დააფასებს. შესაძლოა საჩუქარიც მიიღოთ. **ქალწული** — კეთილისმყოფელი დღეა. იღბლიანი იქნება ნებისმიერი კომერციული საქმიანობა, ასევე პირადი ურთიერთობები. საჭიროების შემთხვევაში გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ. **სასწორი** — მძიმე დღეა. აქტიურობა არ ღირს. უმჯობესია, თუ ჯანმრთელობას მიხედავთ. **ღრიანკალი** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. დიდია ავარიებისა და ტრავმების რისკი. იოლად ნურავის მიენდობით. **მშვილდოსანი** — კეთილსინდისიერად იმუშავეთ, ოღონდ ნუ გადაიღლებით. ახალი საქმის დაწყებას პლანეტები არ გირჩევენ. **თხის რქა** — შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი, წაიკითხეთ ახალი წიგნი, მიიღეთ ინფორმაცია ნებისმიერ სფეროში. **მერწყული** — პრობლემები გაქვთ როგორც პირად, ისე სამსახურებრივ ურთიერთობებში. აუცილებლად შეიცვალეთ გარემო. ოცნება ოცნებად რჩება. **თევზები** — ნებისმიერ ახალ საქმეს ხელი თამამად მოჰკიდეთ. წარმატება არ დააყოვნებს. სამსახური თქვენგან მაქსიმალურ ორგანიზებულობასა და დისციპლინას მოითხოვს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უბანი ძველ თბილისში; 2. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლში და ორგანიზმის ქსოვილებში; 3. რეცეპტის პირი, რომელიც აფთიაქიდან გაცემულ წამალს ახლავს; 4. უკრაინული ხალხური ცეკვა; 5. კომბინაცია პრეფერანსში; 9. შვედური საავტომობილო კომპანია; 10. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 14. კაცთმოყვარე, მოწყალე, ქველმოქმედი ადამიანი; 15. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 16. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 19. ასანთის ქართული სახელწოდება; 20. პატარა სასაუზმე გერმანიაში; 21. ამერიკული ჯიპი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 8. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 11. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 13. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მრავალხმიანობა მუსიკაში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 22. ქართული მინერალური წყალი; 23. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 24. საზღვაო ფლოტის სარდლის ძველი სახელწოდება; 25. ზოდიაქოს ნიშანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ტარიელი; 2. აყირო; 3. კლიასერი; 4. ტომსონი; 5. ქაფიანიძე; 9. ფატიმა; 12. გურიელი; 14. პუსანი; 15. რომი; 17. მახნო; 18. ჯარა.

**თარაზულად**: 6. ვარაყი; 7. ალეგორია; 8. დინარი; 10. გოქჩა; 11. გიბრალტარი; 13. იპოდრომი; 16. ბურიმე; 19. აფშერონი; 20. ჰიპოქსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჩაპლინი; 2. ჟენშენი; 3. ანთრაციტი; 4. ბინომი; 5. გრივნა; 9. ჭუპრი; 10. ომმეტრი; 14. ფორტეპიანო; 15. ტელევიზია; 16. მტრედი; 19. ფიდელიო; 20. ვლტავა; 21. ანადი.

**თარაზულად**: 6. კამბეჩოვანი; 7. კალიბრი; 8. ალვეში; 11. პულმანი; 12. ონიმა; 13. ცისკარი; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ბიპოლიდი; 25. სალივანი.

# ნანი ბრეგვაძე სცენას ტოვებს



2016 წელი ნანი ბრეგვაძისთვის საიუბილეოა. მას 80 წელი უსრულდება. იუბილესთან დაკავშირებით, მომღერალმა გადაწყვიტა საკონცერტო ტურნე გამართოს და მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და კიევში შვილთან ეკა მამალაძესთან და შვილიშვილთან ნატალია ქუთათელაძესთან ერთად კონცერტები გამართოს. ამავე კონცერტებზე მომღერალი თავის ერთგულ მაყურებელს დაემშვიდობება და სცენას დატოვებს.

მანამდე კი ნანი ბრეგვაძეს, ეკა მამალაძეს, ნატალია ქუთათელაძეს, ბუბა კიკაბიძეს და ლიზა ბაგრატიონს კიევში ელოდებიან, სადაც 8 მარტს უკრაინელი მსმენელისთვის ქართველი ვარსკვლავები კონცერტს გამართავენ.

კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე, ნანი ბრეგვაძემ უკრაინულ გამოცემას ინტერვიუ მისცა და განვლილ ცხოვრებასა და საინტერესო ეპიზოდებზე ისაუბრა:

– პოლიტიკურ კითხვებზე პასუხებს არ გაგცემთ, ეს ჩემი საქმე არ არის. თანაც ისეთი მდგომარეობაა, ახლა ამ თემაზე ლაპარაკი ყველაზე საშიშია. ნამდვილად მაქვს ჩემი პოზიცია, მაგრამ არ მინდა ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი, რათა ამან შემდეგ ზედმეტი სპეკულაციები არ გამოიწვიოს.

იშვიათად ვთანხმდები ინტერვიუზე, იმიტომ, რომ, როდესაც მისვამენ შეკითხვებს, მათზე გულწრფელად ვპასუხობ და შემდეგ ადამიანები ჩემს ნათქვამს სულ სხვანაირად იგებენ, ამას კი გაუგებრობა მოყვება ხოლმე. ამიტომაც მირჩევნია, რაღაც თემებზე საერთოდ არ ვისაუბრო, მირჩევნია ჩემი აზრები ჩემთან დარჩნენ და პოლიტიკით პროფესიონალები დაკავდნენ, – ეს იყო პირველი საკითხი, რომელიც ნანი ბრეგვაძემ უკრაინელ ჟურნალისტთან განიხილა.

***– არც უკრაინაში მომუშავე ქართველ პოლიტიკოსებს ადევნებთ თვალყურს?***

– ახალ ამბებს, რა თქმა უნდა, ვუსმენ. ვიცი რაც ხდება, საქმის კურსში ვარ, მაგრამ განხილვებში მონაწილეობას არ ვიღებ. არ მიყვარს, როდესაც შეიკრიბებიან და იწყება გარჩევები. არასდროს ვმონაწილეობ საუბარში, თუ ის ხელოვნებას და პირადად მე არ მეხება.

მე ჩემი ცხოვრება მაქვს. სიბერეში სიმშვიდე მინდა და არა ემოციური მონაწილეობა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკუსიებსა და მოლაპარაკებებში.

ვცდილობ, ყველაფერს დადებითად შევხედო, არასდროს ვღიზიანდები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ არ მომწონს. არც ჩემს თავს მივცემ იმის უფლებას, რომ სხვას ვეჩხუბო. არ მესმის, როგორ შეუძლიათ ადამიანებს თქვან, ესენი მიყვარს და ესენი არაო. მე ყველა მიყვარს, ვგიჟდები რუსებზე, უკრაინელებზე, ბელორუსებზე, აზერბაიჯანელებზე, სომხებზე, ყაზახებზე.

ყველგან არიან კარგი ადამიანები. ჩვენც ასეთი კარგები უნდა ვეძებოთ და არა ცუდები და მაშინ ყველანი კარგად ვიქნებით და მშვიდად ვიცხოვრებთ დედამიწაზე. ვიცი, რომ უკრაინელებს ახლა მძიმე დრო გიდგათ და ამიტომ გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმშვიდეს და მშვიდობას, ეს უმთავრესია.

***– საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოდესის გუბერნატორია. ბევრი ქართველი გაუნაწყენდა, რომ მან უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და აღარ შეეძლება ისევ საქართველოს პრეზიდენტი გახდეს. ამ თემაზე თქვენ რას ფიქრობთ?***

– ეს მე არ მეხება. მე ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, საქართველო ჩემი ულამაზესი სამშობლოა. არც კი ვიცი, ამაზე მეტად რა შეიძლება გიყვარდეს ადამიანს. ჩემთვის წარმოუდგენელია თბილისის დატოვება. სხვა მხრივ თუ შევხედავთ, ყველა ადამიანს თავისი ცხოვრება აქვს. მიდიან? ე.ი. ასეა საჭირო. ისინი მამაკაცები არიან. ეძებენ სამსახურს. ეს მათი დამოკიდებულებაა საქართველოს მიმართ. ერთი რამ დაზუსტებით ვიცი, არც ერთი ქართველი არასდროს არ რჩება საზღვარგარეთ სამუდამოდ და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ბრუნდება საქართველოში.

***– წელს იუბილე გაქვთ. როგორ აღნიშნავთ მას?***

– არც კი მინდა ამ ციფრზე ვიფიქრო. შიშისგან გული მიმდის. ფიზიკურად გადასარევად ვგრძნობ თავს. ხმაც მიჟღერს ჟღერჟღეროვნად, რაც ნამდვილად საკვირველია. ამ ასაკში ბევრს სიმღერა აღარ შეუძლია, ჩემს შემთხვევაში კი პირიქით ხდება, სცენაზე გასვლის წინ მომდის საოცარი ხმა, ალბათ ეს იმის ბრალია, რომ სწორად ვმღერი.

ბოლო დროს ბევრს ვფიქრობ, გავაერთიანო ჩემი ძალები შვილთან ეკა მამალაძესთან და შვილიშვილთან ნატალია ქუთათელაძესთან და ჩავატარო შემოქმედებითი გასტროლები ჩემს იუბილესთან დაკავშირებით, მინდა კონცერტები ორკესტრის თანხლებით მოეწყოს და მოვაწყო ტური მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი. და მინდა უკვე ვთქვა: ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მსმენელებო, როდემდე შეიძლება სცენაზე ვიდგე და ვიმღერო? ეს უკვე შეუძლებელია. ყველაზე სასაცილო ის არის, რომ კონცერტამდე, სცენაზე ყოველი გამოსვლის წინ ვფიქრობ, მოეწონება თუ არა მსმენელს ჩემი სიმღერა.

უკვე ვასრულებ ჩემს შემოქმედებით კარიერას და ამის მიუხედავად, მაინც სულ ვღელავ, მივა თუ არა ჩემი ნამღერი მსმენელების სულებამდე.

***– რას შესთავაზებს უკრაინელ მსმენელს 8 მარტს?***

– ჩემი საკონცერტო პროგრამა მაქვს. ქართული და რუსული სიმღერები, რომლებსაც მარტო შევასრულებ. კონცერტზე ასევე იმღერებს ჩემი შვილი. ჩემს შვილთან და შვილიშვილთან ერთად უნდა ვისწავლო უკრაინული სიმღერა და შეგისრულოთ. კონკრეტულად რომელ სიმღერას გიმღერებთ, წინასწარ არ მინდა ვთქვა, სიურპრიზად დავტოვოთ ჯობია. მისი შერჩევა ნატალიამ გადაწყვიტა. უკრაინელებს არაჩვეულებრივი, საოცრად მელოდიური სიმღერები გაქვთ და შევეცდებით ჩვენც ღირსეულად გიმღეროთ.

# ოთო ნემსაძეს ახალი კლიპი აქვს



ჯეოსტარის გამარჯვებულ ოთო ნემსაძეს ახალი კლიპი აქვს. მას შემდეგ, რაც მომღერალმა პროექტის გამარჯვების შემდეგ პრიზად ალბომის ჩაწერა მოიგო და ოთარ რამიშვილის შემოქმედება ახლებურად ააჟღერა, პირველ ვიდეორგოლზე ფიქრიც დაიწყო.

ხანგრძლივი ფიქრისა და მუშაობის შემდეგ, ოთო ნემსაძემ ერთგულ მსმენელს ახალი ნამუშევარი შესთავაზა, რომელიც ოთარ რამიშვილის შემოქმედებაზე შეიქმნა. „კოცნით ამოგიშრობ“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც ვიდეორგოლი შეიქმნა.

ოთო ნემსაძე:

– მინდა სიამაყით წარმოგიდგინოთ ჩემი მომდევნო ვიდეოკლიპი. ალბომს „ფიქრების ზღვა“ ძლივს ეღირსა ვიდეო და უბედნიერესი ვარ. „კოცნით ამოგიშრობ“ – ეს ის ერთადერთი სიმღერაა, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ჩემში დიდ სევდას იწვევს და ძალიან ღრმად ჩავყავარ ფიქრებში, იმედი მაქვს, თქვენც არ დარჩებით გულგრილნი.

პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ ოთარ რამიშვილს გენიალური დემოქმედებისთვის, უდიდესი მადლობა ზვიად ბოლქვაძეს საოცარი თითებისა და არანჟირებისთვის, ძალიან, ძალიან დიდი მადლობა იდეის ავტორს, ოპერატორს გიორგი ცაავას უდიდესი მეგობრობისა და საოცარი ვიდეოსთვის, მას დიდი წარმატებები ელის.

მადლობა შენ, ჩემო სოფო მეძმარიაშვილო, ყოველთვის იქ ყოფნისთვის, სადაც მე ვარ. მადლობა ყველას დიდი სიყვარულისთვის და გპირდებით, სადაც შევძლებ, ყველგან გავამართლებ თქვენს იმედებს. მუდამ თქვენი ოთო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ელტონ ჯონი საქართველოში ჩამოვა?



შესაძლოა მსოფლიო ვარსკვლავი ელტონ ჯონი საქართველოში ჩამოვიდეს. ინფორმაციას „20:30“ ავრცელებს.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა ტურიზმის განვითარების ფარგლებში პრეზენტაცია გამართა, სადაც ერთ-ერთ სლაიდში ელტონ ჯონის ფოტოც იყო განთავსებული. სლაიდის სახელწოდებაა ქვეყნის პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა.

ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ზაფხულში მოსალოდნელია ბევრი საინტერესო ღონისძიება. არ არის გამორიცხული, რომ დიმიტრი ქუმსიშვილი დაანონსებულ ივენთებში ბრიტანელი მუსიკოსის ჩამოსვლას გულისხმობს.

თავად ელტონ ჯონის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, მომღერალს მაისში ორი კონცერტი აქვს დაგეგმილი რუსეთში და საქართველოსაც, სავარაუდოდ, ამ კონცერტების შემდეგ ესტუმრება.

ელტონ ჯონის ჩამოყვანას საქართველოში 4 წლის წინ კომპანია „ისთერნ პრომოუშენიც“ ცდილობდა, თუმცა ხანგრძლივი მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა და მომღერლის საქართველოში ვიზიტი ჩაიშალა.

# განახლებული ოპერა ბიბისის ობიექტივში მოხვდა

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის განახლებული ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 6 წლიანი ლოდინის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნა და არა მარტო ქართული მასმედიის, არამედ მსოფლიო ჟურნალისტების ობიექტივში მოექცა.

გარდიანის შემდეგ, განახლებულ ოპერაზე სიუჟეტი ბიბისიმ მოამზადა და მაყურებელს აუწყა, რომ განახლებულ თეატრში ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ იქნა წარმოდგენილი.

ბიბისის ჟურნალისტმა თეატრის ისტორია მოკლედ მიმოიხილა, მნიშვნელოვან ეტაპებზეც ისაუბრა და მისი რეაბილიტაციისთვის დახარჯული სოლიდური თანხებიც დაასახელა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებისთვის 40 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ბიბისიმ სიუჟეტისთვის ის ქართველი საოპერო ვარსკვლავებიც ჩაწერა, რომლებსაც პატივი ერგოთ განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის საპრემიერო კონცერტებში მიეღოთ მონაწილეობა.

# მარკესი – ერთი ტყვეობის ამბავი



„ყველა დროის ყველაზე დიდი კოლუმბიელი“ გაბრიელ გარსია მარკესი 1927 წლის 6 მარტს არაკატაკაში, კოლუმბიაში დაიბადა.

მასთან ერთად დაიბადა მაგიური რეალიზმი და მსოფლიო ლიტერატურული შედევრები – „პატრიარქის შემოდგომა“, „მარტოობის ასი წელიწადი“, „სიყვარული ჟამიანობის დროს“, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“, „იცხოვრო, რომ მოჰყვე“, „გენერალი თავის ლაბირინთში“, „ფოთოლცვენა“ და სხვ.

ნობელიანტი მწერალი ხშირად ჟურნალისტური გამბედაობით აკრიტიკებდა მსოფლიო, ძირითადად კი კოლუმბიის პოლიტიკას. ის არ ერიდებოდა მკვეთრ განცხადებებს და საკუთარი აზრის გამოხატვას მაშინ, როცა მის ქვეყანაში ყველაფერი კარგად არ იყო.

სწორედ კოლუმბიაში განვითარებულ მძიმე მდგომარეობაზე წერს მარკესი თავის ერთ-ერთ ბოლო რომანში – „ერთი ტყვეობის ამბავი“.

– ჩემს შრომას ვუძღვნი ყველას – მსხვერპლსაც და დამნაშავესაც, იმ იმედით, რომ ეს წიგნი აღარასოდეს განმეორდება, – წერს მწერალი.

ის, რაც აღარასდროს განმეორდება შეგიძლიათ წაიკითხოთ რომანში „ერთი ტყვეობის ამბავი“.

როგორც მწერალი ამბობს, რომანზე მუშაობა ერთი შემოდგომის ყველაზე რთული და ნაღვლიანი საქმე იყო, სწორედ ამიტომ ის მადლობას უხდის წიგნის გმირებს იმისთვის, რომ შეძლო ამ არაადამიანური დრამის გაცოცხლება, რომელიც მხოლოდ ერთი ეპიზოდია იმ ბიბლიური რისხვისა, რომელმაც კოლუმბია მოიცვა 90-იან წლებში.

„ერთი ტყვეობის ამბავი“ სწორედ 1990-იანი წლებში ნარკოდაჯგუფების მიერ კოლუმბიელი ჟურნალისტის მარუხა პაჩონის გატაცების რეალურ ამბავზეა დაფუძნებული. რომანი მოგვითხრობს გატაცებათა მთელ სერიაზე, რეალისტურად არის აღწერილი გამტაცებლების სისასტიკე და უმოწყალობა, მძევალთა სასოწარკვეთილება, გაქცევის მცდელობა, მკვლელობები, რაც სახელმწიფოსთან შეუმდგარი მოლაპარაკების პარალელურად მიმდინარეობდა. ნარკოდილერები ექსტრადიციის შესახებ ახლად მიღებულ კანონს აუმხედრდნენ. კანონს, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევდა ნარკომაფიის წევრები აშშ-ს მართლმსაჯულებისთვის გადაეცა, სადაც მათ სულ სხვაგვარად გაუსწორდებოდნენ. კოლუმბიაში კი უსასტიკესი ომი მიმდინარეობდა და უდანაშაულო ადამიანების ცხოვრებას ცვლიდა.

# სამგლოვიარო განცხადებები

გამომცემლობა „ინტელექტი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი მთარგმნელის

**დავით კახაბერის**

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ოჯახს და ქართველ მკითხველს.

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სს-ის საქსოვი წარმოების უფროსის, ღირსეული ადამიანის, საუკეთესო ოჯახის მამის და უერთგულესი მეგობრის, დამსახურებული ინჟინრის

**იოსებ (სოსო) კობალაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 3 მარტი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.30** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო **14.30** ქართ მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.30** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი: ჯ. ვერდი – "**ატილა**" **00.07** "კომუნიკატორი" **01.17** მხ/ფ "**ნოთინგ ჰილი**" (ჯ.რობერტსი) **03.20** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "ინკების მარილი" **13.00** დ/ფ "ინსტრუქცია ამერიკის ქალბატონი პრეზიდენტისთვის" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 10.05** იმედის დილა **10.05** სერ. "**ოცი წუთი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**პოლიციელი ბევერლი ჰილზიდან - 2**" (ე.მერფი) **02.10** მხ/ფ "**წყვდიადის სამეფო**" (მ.შინი) **04.10** ერთხელ საქართველოში **04.40** მხ/ფ "**ეჭვქვეშ**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00**P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

**8.30, 18.30** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. **9.00** Discovery- ფილმების მეცნიერება **10.00** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **11.00, 22.00** მზარეულები **11.30** შუადღე **14.00, 20.00** ცოლები და ქმრები **14.30, 19.00** სერ. "**ცენტრი**" **15.30** Discovery- ფილმების მეცნიერება **16.30** აირჩიე კაბა **17.30** ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" **20.30 20.30 22.30** ბინა **18 23.30** მხ/ფ "**უილარდი**" **1.20 ID Extra -** სასჯელს თითქმის გავექეცი **2.15** URBAN STORIES **3.05** ჯიდიპედია

**06.10** სიმღერის კვალდაკვალ **06.40** პატერიკი **06.50** სჯანი **06.20** ქართული ალბომი **06.50** მოკ.მხ/ფ "**კერპი**" **06.35** დ/ფ "ტაო-კლარჯეთი" IV ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30**"განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**სათნოებათა კიბე**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დ/ფ "პლანეტა დედამიწა-მტკნარი წყლები" **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** სტუმრად მღვდელმთავართან-ჭყონდიდის ეპარქია **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო "მარხვა" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "გაუცინარი ხელმწიფე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** დ/ფ "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30**დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.00** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.00**"კონტაქტი" **19.05, 02.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45, 22.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**" **21.30** თოქშოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4668

ევრო — 2.6826

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4545

100 რუსული რუბლი — 3.3451

## ამინდის პროგნოზი 3 მარტისთვის






კალეიდოსკოპი

## კიბოთი დაავადებულმა ამერიკელმა მკურნალობას მოგზაურობა ამჯობინა



ამერიკის მიჩიგანის შტატის მცხოვრებმა უარი განაცხადა მისთვის დასმული კიბოს დაავადების მკურნალობაზე და მას სხვადასხვა ქვეყნების დასათვალიერებლად გამგზავრება ამჯობინა. ფეისბუქში გახსნილ ვებგვერდს, რომელიც 90 წლის ქალბატონის მოგზაურობას ეძღვნება, უკვე 63 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ქალმა, სახელად ნორმამ (გვარი უცნობია), საკუთარი ავადმყოფობის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, როდესაც კიბოს დაავადებისგან მისი მეუღლე ლეო გარდაიცვალა.

– მე 90 წლის ვარ, ასე რომ, ხელებიც დამიბანია, – უპასუხა ექიმებს პენსიონერმა ქალბატონმა, რომლებმაც მას საშვილოსნოს სიმსივნის ოპერაციით მოშორება შესთავაზეს.

საავადმყოფოში დაწოლის სანაცვლოდ ნორმა შვილ ტიმთან, მის მეუღლე რემის და პუდელ რინგოსთან ერთად მანქანით აშშ-ს დასათვალიერებლად გაემგზავრა, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც გადაინაცვლა.

## ვერონა ქაბაბის წინააღმდეგ



იტალიის ქალაქ ვერონაში ახალი საქაბაბეების და სხვა ეგზოტიკური სასადილოების გახსნა აიკრძალა. ამის მიზეზი გახდა ქალაქის განვითარებად სტრუქტურაში ფასტფუდის ტრადიციული სამზარეულოს შენარჩუნება.

– ასეთი ადგილების გახსნა ზიანს აყენებს ჩვენი ქალაქის გარეგნულ იერს. ეს დადგენილება დაიცავს ვერონას არა მხოლოდ ისტორიულ და არქიტექტურულ სახეს, არამედ ტრადიციულ კულტურასაც, – განმარტა ქალაქის მერმა ფლავიო ტოსიმ.

ქალაქში ფართო განვითარება ჰპოვა მცირე სასადილოების ქსელმა, რომელთა მენიუში შედის ქაბაბი და კარტოფილი ფრი. ადგილობრივი პრესის ცნობით, მრავალი ადგილობრივი მცხოვრები ასეთ დაწესებულებებს ქალაქის „გასტრონომიული კულტურის ლაქად" მიიჩნევს.

აღსანიშნავია, რომ ვერონა სახელგანთქმულია რომაული და შუა საუკუნეების ეპოქის არქიტექტურული ძეგლებით, მრავალრიცხოვანი რომაული და გოთიკური სტილის ეკლესიებით, აღორძინების ეპოქის სასახლეებით, მუზეუმებით და კონსერვატორიით.

## ბრიტანულ ავიამზიდს სასტუმროდ გადააკეთებენ



ავიამზიდი ხომალდი, რომელიც 1982 წელს ფოლკლენდის ომში მონაწილეობდა, მცურავ სასტუმროდ გადაიქცევა. საუბარია ხომალდ „ჰერმესზე", რომელიც არგენტინასთან დაპირისპირების დროს დიდი ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ძალების ფლაგმანს წარმოადგენდა. ის მსოფლიოში ყველაზე ძველი მოქმედი ავიამზიდია.

1986 წელს ავიამზიდი ინდოეთს მიჰყიდეს, რის შემდეგაც მას სახელი გადაარქვეს და „ვირაატი" უწოდეს. ამ ზაფხულს გემს ჩამოწერენ და ელიტურ სასტუმროდ აქცევენ ბენგალის ყურეში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხუთვარსკვლავიან მცურავ სასტუმროში 600 ნომერი იქნება, ასევე მინიმუმ ხუთი რესტორანი, ღამის კლუბი, აუზები, ხოლო ხომალდის ისტორია მუზეუმში იქნება წარმოდგენილი.

გამორიცხული არ არის, რომ „ვირაატი" სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით იქნება განთავსებული. ამ შემთხვევაში იქ კაზინოც გაიხსნება (ინდოეთის ტერიტორიასა და მის ტერიტორიულ წყლებში სათამაშო სახლები აკრძალულია).

ავიამზიდის სასტუმროდ გადაკეთებაზე 85 მილიონი ფუნტის დახარჯვაა დაგეგმილი და, სავარაუდოდ, ის ორი წლის შემდეგ გაიხსნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 1 მარტიდან

### გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

## დონალდ ტრამპი

## იფიქრე ჩემპიონივით




დონალდ ტრამპის სახელი უკავშირდება უზარმაზარი იმპერიის შექმნას უძრავი ქონების სფეროში, ბრენდისა, რომელიც ოქროს სტანდარტის სინონიმად იქცა.

ამჟამად ის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტისთვის იბრძვის და ყოველდღე შოკში აგდებს მსოფლიოს რადიკალური ქცევითა და განცხადებებით.

დონალდ ტრამპს წლების განმავლობაში დაწერილი აქვს ბესტსელერად ქცეული წიგნები, რომლებშიც გადმოცემულია მისი სისხლსავსე ცხოვრება.

### ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## 4 მარტიდან

### გაზეთ „ახალ თაობასთან" ერთად

## გაბრიელ გარსია მარკესი

## ერთი ტყვეობის ამბავი

რომანი 1990-იანი წლებში ნარკოდაჯგუფების მიერ კოლუმბიელი ჟურნალისტი ქალის, მარუხა პაჩონის გატაცების რეალურ ამბავზეა დაფუძნებული.

### ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი


## პიკეს კოლუმბიის ჩემპიონატში სურს თამაში



ბარსელონას ცენტრალურ მცველს ჟერარ პიკეს მომავალში კოლუმბიის ჩემპიონატში სურს თამაში, რადგან მისი საყვარელი ქალი შაკირა კოლუმბიელია.

ამის შესახებ პიკემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა.

– ამჟამად ბარსელონაში ბედნიერი ვარ და არსად წასვლას არ ვაპირებ, თუმცა მომავალში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს. შაკირა კოლუმბიელია, ამიტომ მინდა ამ ქვეყნის ჩემპიონატშიც ვცადო ბედი. ყოველთვის საინტერესოა ახალ გარემოში გადასვლა, მაგრამ ეს ყველაფერი ახლო მომავალში არ მოხდება, – განაცხადა პიკემ.

შაკირა და პიკე უკვე 5 წელიწადზე მეტია, ერთად არიან და მათ უკვე 2 შვილი ჰყავთ. პიკე ბარსელონაში 2008 წლიდან ასპარეზობს.

**ბექა გოგინაშვილი**



## იუმორი

მატარებლების სადგურის ცნობათა ბიუროსსარკმელზე მიკრულ განცხადებაში წერია:

– კითხვაზე პასუხი – 10 თეთრი.

– რთულ კითხვაზე პასუხი – 20 თეთრი.

– აბდლებს არ ვპასუხობთ!

●●●

მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:

– ბავშვებო, დაფას ხედავთ?

– დიახ!

– ბავშვებო, ღმერთს ხედავთ?

– არა!

– ე.ი. ღმერთი არ არსებობს!!!

ამ დროს ერთ-ერთი მოსწავლე წამოდგება და თანაკლასელებს მიმართავს:

– ბავშვებო, მასწავლებელს ხედავთ?

– დიახ!

– ბავშვებო, მასწავლებლის ტვინს ხედავთ?

– არა!

– ჰოდა, ის მას არ აქვს!!!

●●●

სოფლის ბირჟაზე ბიჭები თანასოფლელის გაშაყირებას გადაწყვეტენ და ერთ-ერთი ეუბნება:

– გავიგე, ერთი კვერცხი გქონია...

– შენ ცოლს უთხარი, სახლში ამბის მიტანას თავი დაანებოს...

●●●

ქორწილში ბავშვი მჭადს და ყველს მიეძალა. დედა ეუბნება:

– ეგენი სახლშიც გვაქვს, სხვა რამეები ჭამე.

გვერდით მჯდომი მამაკაცი პასუხად ეუბნება:

– აცალე, ქალო, რაც იცნო ბავშვმა, იმას ჭამს.

●●●

სტუდენტი პროფესორს ანგინის მომიზეზებით ლექციიდან გაეთავისუფლა. ლექციის დასრულების შემდეგ სახლში მიმავალმა პროფესორმა დაინახა, რომ სტუდენტი ქუჩაში მშვენიერ გოგონასთან ერთად მისეირნობს. პროფესორმა სტუდენტი გააჩერა და ეუბნება:

– ყმაწვილო, ასეთი ანგინით ლოგინში უნდა იწვე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, შენ როგორ დაგეტყო ასაკი და შენი ცოლი კი ისევ ახალგაზრდასავით გამოიყურება.

– ხომ იცი, ვამპირები არ ბერდებიან...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 2. გეომეტრიული ფიგურა; 3. ბიჭის წვრილი, მაღალი სასიმღერო ხმა; 4. წმინდა მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 5. ფრანგული ვაშლის არაყი; 9. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 12. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე მესხეთში; 15. რძის პროდუქტი; 17. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 18. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 6. ფულის სარგებლით გამსესხებლის, მევახშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება; 8; ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 10. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა მცირე ჯგუფი; 11. სამხედრო სატუსაღო; 13. ჩვილი ბავშვის საფენი; 16. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 19. ჩქაროსნული ავტომაგისტრალი; 20. ბიჭვინთის ძველბერძნული სახელწოდება.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

